სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

სოციალური საცხოვრისის სოციალური პარამეტრების კვლევა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში

2013

სარჩევი

კვლევის ძირითადი შედეგები: 2
I. კვლევის მეთოდოლოგია 15
1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 15
1.3. შერჩევის აღწერა 18
1.4. საველე სამუშაოები 19
1.5. მონაცემთა ანალიზი 20
II. სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები 21
III. დასაქმება და პროფესიული გადამზადება 26
IV. სოციალური დახმარებები 35
4.1. დახმარების ტიპები 35
4.2. პრობლემები სოციალური დახმარებების მიღებისას 39
V. ინფორმირებულობის ხარისხი სოციალური საცხოვრისის შესახებ 43
VI. ზოგადი დამოკიდებულება სოციალური საცხოვრისის მიმართ 46
VII. სოციალური საცხოვრისის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა 52
VIII. ბენეფიციართა დამოკიდებულება საცხოვრისის ექსტერიერისა და ინტერიერის მიმართ 58
IX. საერთო ფართი და ნივთები; კომუნალური გადასახადები 74
X. ბენეფიციართა დამოკიდებულება სოციალურ საცხოვრისში არსებული სოციალური სერვისების მიმართ 85
XI. მოხუცების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა სოციალურ საცხოვრისში 93
XII. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებს, აგრეთვე, მათსა და გარე სამეზობლოს შორის 100
12.1. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და გარე სამეზობლოს შორის 100
12.2. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებს შორის 109
XIII. ბენეფიციართა რელევანტურობა სოციალური სახლის სერვისის კონცეფციასთან და სხვა ატიტუდები 116
13.1. რელევანტურობა სოციალური სახლის სერვისის კონცეფციასთან 116
13.2. სხვა ატიტუდები 121

კვლევის ძირითადი შედეგები:

- ✓ ბენეფიციართა და მიმდებარე კორპუსების მოსახლეობის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები, ოჯახური მდგომარეობის და განათლების მიხედვით, მსგავსია. სახეზეა მცირე განსხვავებები, მაგალითად, სამეზობლოდან გამოკითხულთა მეათედს, ხოლო ბენეფიციართაგან გამოკითხულთა მეხუთედს არ აქვს პროფესია. იმ ბენეფიციართაგან, რომლებსაც პროფესია ან ხელობა აქვთ, დიდი ნაწილი ხელოსანია ან მომსახურების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. სამეზობლოში კი უმრავლესობა პედაგოგი, ეკონომისტი ან ინჟინერია.

- ✓ როგორც აღმოჩნდა, ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალი თითქმის ორჯერ ნაკლებია სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახთა შემოსავალზე: ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალი 265.73, ხოლო სამეზობლოს მაცხოვრებლების ოჯახთა შემოსავალი 493.54 ლარს შეადგენს. ბენეფიციართა და სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახების შემოსავალი ყველაზე მეტად ერთმანეთისგან თბილისში განსხვავდება, სადაც სამეზობლოს ოჯახების საშუალო შემოსავალი ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალზე თითქმის 2.5–ჯერ მეტია, ხოლო ყველაზე ნაკლებად – გორში, სადაც სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახების საშუალო შემოსავალი ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალს მხოლოდ 6 ლარით აღემატება.

- ✓ სოციალური სახლების ბენეფიციართა შორის ყველაზე გავრცელებული სოციალური დახმარება სამედიცინო დაზღვევის პოლისია; ოჯახების უმრავლესობა იღებს უმწეოთა ფულად დახმარებასაც (ორივე ეს დახმარება ე.წ. „მისამართული სოციალური დახმარების“ ფარგლებში გაიცემა).

- ✓ პრაქტიკულად არც ერთი იძულებით გადადგილებული ან შეზღუდული შესაძლებლოებების მქონე პირი არ არის დარჩენილი ან ამ ჯგუფებისთვის გამიზნული სოციალური დახმარებების გარეშე, ან, ამ დახმარებათა ჩამნაცვლებელი, უმწეოთა ფულადი დახმარების გარეშე.

- ✓ სოციალურ საცხოვრისში არსებობს ადგილობრივ ბენეფიციართა ერთი ნაწილი (12%), რომელიც აცხადებს, რომ არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას; საშუალოდ ყოველი მეორე ბენეფიციარი ერთდროულად 2 ტიპის სოციალურ დახმარებას იღებს; ამასთან, იძულებით გადაადგილებულ ბენეფიციართა უფრო დიდი ნაწილი იღებს ამა თუ იმ სოციალურ დახმარებას, ვიდრე ადგილობრივი

სოციალურად დაუცველები; თანაც იძულებით გადაადგილებულ პირებში 90%-ია ისეთი, ვისზეც ერთდროულად 2 ან 3 ტიპის სოციალური დახმარება გაიცემა, ხოლო ასეთთა ხვედრითი წილი 66%-ია.

- ✓ სოციალური სახლების ბენეფიციართა დაახლოებით 40% აღნიშნავს, რომ პრობლემები შეექმნა სოციალური დახმარებების მიღებასთან დაკავშირებით. მათი პრეტენზიები ძირითადად უკავშირდება დახმარებების შეწყვეტას; ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტები უჩივიან, აგრეთვე, იმას, რომ დახმარება ეკუთვნოდათ და არ მისცეს, ან დაგვიანებით მისცეს და ა.შ. შეწყვეტილი დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის უმწეოთა დახმარებაზე, რაც, სავარაუდოდ, ბენეფიციართა ოჯახების სარეიტინგო ქულის შეცვლას უკავშირდება (ოჯახების კეთილდღეობის დონის გადამოწმების შედეგად).

- ✓ ბენეფიციართა მხოლოდ 17.1%-ია დასაქმებული. დასაქმების ადგილებია: სახელმწიფო სექტორი, კერძო ლიცენზირებული ბიზნესი და თვითდასაქმება. გამოკითხულთა მეოთხედი პენსიონერია, ხოლო 11% - დიასახლისი. ბენეფიციართა 46% საკუთარ სტატუსს დასაქმებასთან მიმართებაში განსაზღვრავს როგორც „უმუშევარი“. უმუშევართა 70% აცხადებს, რომ ეძებს სამსახურს.

- ✓ ბენეფიციართათვის სამსახურის მოძებნის ყველაზე გავრცელებული წყარო არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები. თუმცა, სამსახურის მაძიებელ რესპონდენტთა მესამედი ინტერნეტსაც იყენებს.

- ✓ ძირითადი მოთხოვნა, რასაც ბენეფიციარები ახალ (პოტენციურ) სამსახურს უყენებენ, ნორმალური ანაზღაურებაა. თუმცა, მნიშვნელოვანია, ასევე, სამსახურის სტაბილურობა და მისი შესაბამისობა პროფესიულ უნარ-ჩვევებთან. სამსახურის მაძიებელ ბენეფიციართა დაახლოებით ნახევარს უჭირს დაასახელოს ის სასურველი ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც ახალ სამსახურში მუშაობას დათანხმდება. მათთვის, ვინც გარკვეულ თანხას ასახელებს, ანაზღაურება მერყეობს თვეში 300-იდან 1500 ლარამდე. საშუალო მაჩვენებელია 550 ლარი.

- ✓ ბენეფიციართა ნახევარი აღნიშნავს, რომ სოციალურ სახლის მაცხოვრებლებისათვის არ ჩატარებულა პროფესიული გადამზადების ტრენინგები. ამ მხრივ, ყველაზე კარგი სიტუაციაა რუსთავსა და ბოლნისში, ხოლო ყველაზე ცუდი - გორსა და თბილისში. პროფესიული გადამზადების

საჭიროებას, დასაქმების სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ბენეფიციართა აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) ეთანხმება.

- ✓ დასაქმების მდგომარეობის თვალსაზრისით, მოსახლეობაში არსებული ვითარება სოციალური სახლების ბენეფიციარებში არსებული ვითარების მსგავსია, თუმცა, შეიმჩნევა განსხვავებებიც: უმუშევართა ხვედრითი წილი მოსახლეობაში 38%-ია (ბენეფიციარებში - 46%); უმუშევარი ბენეფიციარები უფრო აქტიურნი არიან სამსახურის მოძებნაში (ეძებს 70%), ვიდრე მოსახლეობის უმუშევარი წარმომადგენლები (ეძებს 52%); მოსახლეობაში, ისევე როგორც, ბენეფიციარებში, სამსახურის მოძებნის ძირითადი წყარო არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები; ძირითადი მოთხოვნა, რასაც მოსახლეობის უმუშევარი ნაწილი (ბენეფიციართა მსგავსად) პოტენციურ სამსახურს უყენებს, არის ნორმალური ანაზღაურება; სასურველი ანაზღაურების საშუალო რაოდენობაა 630 ლარი თვეში (ბენეფიციარებთან იყო 550 ლარი თვეში).

- ✓ სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორუსების/სახლების მაცხოვრებელთაგან სოციალური სახლების შესახებ სრულ ინფორმაციას მხოლოდ 7.5% ფლობს, ხოლო მცირე ინფორმაცია 63.9%–ს აქვს.

- ✓ ინფორმირებულობის შესამოწმებლად ოთხი დებულება შემუშავდა, რომლებიც საცხოვრისის ძირითად მახასიათებლებს ეხებოდა და ორ საკვანძო საკითხს გამოკვეთდა: 1. თუ ვისი ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სოციალური საცხოვრისი და 2. თუ რა პირობებით შესახლდნენ ბენეფიციარები. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის შესახებ სამეზობლოს შედარებით მეტი ინფორმაცია აქვს – წარმოდგენილ დებულებებს უმრავლესობა სწორად პასუხობს. თითოეულ დებულებაზე რესპონდენტთა დაახლოებით მსგავს რაოდენობას, მესამედს, გაუჭირდა პასუხის გაცემა. ოთხივე დებულებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი ინფორმაცია გორის სამეზობლოს მოსახლეობას აქვს, ხოლო ყველაზე ნაკლები – ბოლნისის მოსახლეობას. ერთადერთი საკითხი, რომელშიც ბოლნისს რუსთავი ჩამორჩება, ბინების საკუთრებაში გადაცემაა.

- ✓ კითხვაზე „თქვენი აზრით, რა კატეგორიის ადამიანები ცხოვრობენ სოციალურ საცხოვრისში?“ პასუხები არაერთგვაროვანია, თუმცა ჩანს, რომ რესპონდენტებს გარკვეული ინფორმაცია აქვთ ბენეფიციარების შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობა (33%) ფიქრობს, რომ აღნიშნული საცხოვრებელი სოციალურად

დაუცველთათვისაა განკუთვნილი, 31.3% მიიჩნევს, რომ ის იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენდა, ხოლო 22.8% აღნიშნავს, რომ სახლში როგორც სოციალურად დაუცველები, ასევე იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ.

- ✓ აღსანიშნავია, რომ სოციალური სახლის აშენებას გორში, თბილისში, რუსთავსა და ბოლნისში მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები არ გამოუწვევია. არ შეცვლილა კრიმინოგენული სიტუაცია, ინფრასტრუქტურა, სანიტარული პირობები, სათემო/სამეზობლო თანაცხოვრება და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესი დასახლების მიმართ.

- ✓ სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სოციალური საცხოვრისის არსებობას დადებითად აფასებს. ყველაზე მეტად ის რუსთავში მოსწონთ (84.7%), ხოლო მის მიმართ ყველაზე უარყოფითად გორის მაცხოვრებლები არიან განწყობილნი (16.7%). სოციალური საცხოვრისით კმაყოფილია ბენეფიციართა უმრავლესობაც, განსაკუთრებით ბოლნისსა და რუსთავში. თუმცა საკმაოდ მაღალია ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელიც, ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად თბილისში ფიქსირდება. უკმაყოფილოთა ყველაზე დიდი რაოდენობა გორშია კონცენტრირებული.

- ✓ ბენეფიციარები სოციალური სახლის ადგილმდებარეობას, საერთო სივრცეს, შინაგანაწესსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს დადებითად აფასებენ. მათგან ყველაზე დადებითი შეფასება სოციალური სახლის ადგილმდებარეობას აქვს, ხოლო საერთო სივრცისა და სოციალური სახლის შინაგანაწესისადმი დამოკიდებულება, უმეტესად, ნეიტრალურია. ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ ბინების (კერძო სივრცის) მიმართ შეინიშნება.

- ✓ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სოციალური სახლის მიმართ უფრო პოზიტიურად განწყობილები ბოლნისისა და რუსთავის ბენეფიციარები არიან. კერძოდ, ყველაზე დადებითად საერთო სივრცეს, შინაგანაწესსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ბოლნისის, ხოლო ბინებს – რუსთავის ბენეფიციარები აფასებენ. შედარებით ნეგატიური დამოკიდებულება თბილისისა და გორის ბენეფიციარებს შორის შეინიშნება. მაგალითად, ყველაზე უარყოფითად საერთო სივრცეს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გორში, ხოლო შინაგანაწესს – თბილისში აფასებენ. მცირე განსხვავებაა დევნილ და ადგილობრივ სოციალურად

დაუცველთა კმაყოფილების ხარისხშიც, მაგალითად, როგორც სოციალური საცხოვრისით უკმაყოფილოთა, ასე ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელი იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ სოციალურ დაუცველებს შორის. როგორც საერთო, ასე კერძო სივრცეებს (ბინებს) იძულებით გადაადგილებული პირები უფრო უარყოფითად აფასებენ, ვიდრე ადგილობრივები.

- ✓ ვარკეთილისა და ბოლნისის სოციალურ სახლებს მისამართები არ აქვთ, რაც, შესაძლოა, განაპირობებდეს პრობლემებს ბენეფიციართა მიერ სხვადასხვა სერვისებით სარგებლობაში.

- ✓ ოთხივე ქალაქში სოციალური საცხოვრისების ირგვლივ არის მაღაზიები, ავტობუსის გაჩერება და სკოლები, თუმცა იშვიათად გვხვდება სათამაშო მოედნები, დასასვენებელი პარკები/სკვერები, საკოლმეურნეო ბაზრები და საავადმყოფოები/პოლიკლინიკები. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არცერთი სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ბავშვების სათამაშო მოედანი. საკოლმეურნეო ბაზარი მხოლოდ რუსთავშია, დასასვენებელი პარკი/სკვერი – მხოლოდ თბილისში, ხოლო საავადმყოფო – მხოლოდ ბოლნისში. აღმოჩნდა, რომ რუსთავის სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ნაკლები სერვისია: სურსათის მაღაზია, საკოლმეურნეო ბაზარი, გაჩერება და სკოლა, ყველაზე მეტი კი ვარკეთილის საცხოვრებელში, სადაც არ არის მხოლოდ საკოლმეურნეო ბაზარი, ბავშვების სათამაშო მოედანი და საავადმყოფო/პოლიკლინიკა.

- ✓ თბილისის, გორისა და რუსთავის საცხოვრისის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ გზა, რომელიც სოციალურ საცხოვრისში შედის არც ფეხით მოსიარულეთათვის, არც მანქანით გადასაადგილებლად და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არ არის კომფორტული. ჯვარედინი ანალიზისას გამოჩნდა, რომ მარტოხელა საპენსიო ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთაგან უმრავლესობა აფიქსირებს, რომ გზა არ არის კომფორტული ფეხით მოსიარულეთათვის.

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე სოციალურ საცხოვრისში ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, გათბობა, კანალიზაცია და სავენტილაციო სისტემა გაყვანილია და ფუნქციონირებს,

ბენეფიციარები მიუთითებენ ზოგიერთი მათგანის გაუმართავად მუშაობაზე. მაგალითად, ელექტროგაყვანილობის მუშაობით თბილისის ბენეფიციართა 7.6%–ია უკმაყოფილო, წყალგაყვანილობის მუშაობით უკმაყოფილოა თბილისის ბენეფიციართა 16.7%, კანალიზაციისა და სავენტილაციო სისტემის ცუდად მუშაობაზეც მხოლოდ თბილისის სოციალურ საცხოვრისში მიუთითებენ, ხოლო გათბობის მუშაობით მხოლოდ გორში არიან უკმაყოფილონი.

- ✓ მონაცემებიდან ჩანს, რომ სამეზობლოს შედარებით მეტი პრობლემა ექმნება წყლით, ელექტროენერგიით და სხვა გაყვანილობებით სარგებლობისას. ცხელი წყლით გამოკითხულთა მესამედის ბინა არ მარაგდება. სავენტილაციო სისტემა გამოკითხულთა ნახევრის ბინებში არ არის, გამართულად კი მხოლოდ 39.5%–ის შემთხვევაში მუშაობს. ბოლნისელებს გრაფიკით მიეწოდებათ ცივი წყალიცა და ცხელი წყალიც. გრაფიკის არსებობას რუსთავის მოსახლეობაც აღნიშნავს. სავენტილაციო სისტემა გამოკითხულთა ნახევრის ბინებში არ არის, გამართულად კი მხოლოდ 39.5% შემთხვევაში მუშაობს.

- ✓ საცხოვრისის ექსტერიერის მიმართ როგორც ბენეფიციარებს, ასე ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. ბენეფიციართა 86.8%–ს მოსწონს საცხოვრისის ფასადი. ამ უკანასკნელით რუსთავის საცხოვრებლის ყველა ბენეფიციარი კმაყოფილია. ექსტერიერის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ საცხოვრისის ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაგან 41.3% მიიჩნევს, რომ საცხოვრისი შეესაბამება მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახეს. გორისა და რუსთავის სოციალური საცხოვრისის სამეზობლოები ყველაზე კმაყოფილნი არიან საცხოვრისის ექსტერიერისა და საცხოვრებელი გარემოს იერსახის ურთიერთმიმართებით. იმ რესპოდენტთაგან ნახევარზე მეტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოციალური საცხოვრისის ექსტერიერი არარელევანტურია მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახესთან, ფიქრობენ, რომ ასეთი ტიპის საცხოვრებლები არ უნდა შენდებოდეს ქალაქის მჭიდრო დასახლებაში (52.3%). სწორედ ამ მიზეზს ასახელებს თბილისის საცხოვრისის მიმდებარე კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა (57.3%). გორში მხოლოდ ერთ პასუხს აფიქსირებენ – ფიქრობენ, რომ სოციალური საცხოვრისის ზომა (სართულიანობა) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებს/სახლებს არ უხდება. ბოლნისში იერსახესთან შეუსაბამობის ორი მიზეზი სახელდება (შენობის ფასადი არ უხდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების/სახლების ფასადს და სოციალური საცხოვრისის ფორმატი

(პატარა კორპუსების მცირე დასახლება) არ უხდება საერთო კონტექსტს). რუსთავში კი 10.5% ფიქრობს, რომ საცხოვრისების ექსტერიერი სჯობს მათი საცხოვრებელი კორპუსების/სახლების ფასადს.

- ✓ ბენეფიციარები ფიქრობენ, რომ სოციალური საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობაზე, პირველ რიგში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს (61.4%). რუსთავისა და ბოლნისის საცხოვრისებში მოსახლეობა უფრო მეტად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ სოციალური საცხოვრისის მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უნდა იზრუნონ ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე თბილისსა და გორში, მეტიც, გორში არცერთმა რესპონდენტმა აღნიშნული პასუხი არ აირჩია. გარდა ამისა, ადგილობრივი სოციალურად დაუცველები მეტად გამოხატავენ სურვილს, რომ თავად იზრუნონ ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე იძულებით გადაადგილებული პირები.

- ✓ სოციალური სახლების ბინის კვადრატულობის საშუალო მაჩვენებელი (ბენეფიციართა პასუხების მიხედვით) 27.6–ა, ერთ სულზე ბინის საშუალო კვადრატულობა 7.2–ია. სასურველი საშუალო კვადრატულობა კი 64 კვადრატული მეტრია. სასურველსა და არსებულ ბინის ფართებს შორის სხვაობა 36.4–ია. სოციალური საცხოვრისის ირგვლივ არსებულ კორპუსებში ბინების ფართის საშუალო მაჩვენებელი 68.42 კვადრატული მეტრია, ხოლო სასურველი – 99.01. მაშ, ირგვლივ მდებარე კორპუსების მოსახლეობას ბენეფიციარებზე, საშუალოდ, ორნახევარჯერ დიდი ბინები აქვთ. ის, რაც ბენეფიციართათვის სასურველი ფართია (საშუალოდ 64), სამეზობლოს მოსახლეობისთვის რეალური, არსებული ფართია (საშუალოდ 68.42).

- ✓ როგორც აღმოჩნდა, სოციალური საცხოვრისის ბინებში ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ბენეფიციარები ბინაში თავს ვიწროდ გრძნობენ. მეორე ძირითად პრობლემად სახელდება ცუდი ხმაიზოლაცია. ნახევარზე მეტი ასევე პრობლემად მიიჩნევს ოთახების თხელ კედლებს, რომლებიც სიმყუდროვეს ვერ იცავენ. სამეზობლოს გამოკითხვისას კი გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, კერძოდ: მათ ბინაში არ არის საკმარისი ფართი, ბინა სარემონტოა, ბინაში ინესტება და ობდება კედლები, ბინებიდან იოლად გადის ხმა გარეთ, ბინა რთულად ინარჩუნებს სითბოს, აბაზანა მოუწყობელია, ოთახების კედლები თხელია და ვერ იცავს სიმყუდროვეს. როგორც აღმოჩნდა, სამეზობლოს და

ბენეფიციართა პრობლემები მსგავსია. მეტიც, სამეზობლოს მოსახლეობა უფრო მეტ პრობლემას ჩამოთვლის, ვიდრე ბენეფიციარები.

- ✓ ბენეფიციართა თითქმის მეოთხედი კმაყოფილია იმ ნივთებით, რაც ბინაში დახვდათ. დანარჩენები ყველაზე მეტად სარეცხი მანქანის და ტელევიზორის საჭიროებას უსვამენ ხაზს. გორში ყველა ოჯახმა ისურვა, ბინაში დახვედროდა ტელევიზორი, სრულმა უმრავლესობამ – ჭურჭელი, ნივთები საჭმლის მოსამზადებლად და სარეცხი მანქანა. სოციალური სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში/სახლებში ამ კუთხითაც მსგავსი სიტუაციაა. მოსახლეობის უმრავლესობას ბინებში ტელევიზორი, აუცილებელი ავეჯი, სამზარეულოს აუცილებელი ნივთები, მაცივარი და გაზქურა აქვთ.

- ✓ რაც შეეხება სატელეკომუნიკაციო სისტემას, ტელევიზორი სოციალური საცხოვრისების ბენეფიციართა უმრავლესობას აქვს (61.4%), ტელეფონი – ნახევარს, ინტერნეტი – მხოლოდ მეხუთედს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უმრავლესობას არც ტელეფონი (84.6%), არც ტელევიზორი (76.9%) და არც ინტერნეტი აქვთ (76.9%). მსგავსი მდგომარეობაა ინსტიტუციაგამოვლილ პირებს შორისაც.

- ✓ საერთო ოთახის არსებობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ბენეფიციართა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი სამივე ქალაქში. შესაძლოა, ეს ტენდენცია მიუთითებდეს იმაზე, რომ ბენეფიციარებს საერთო სივრცის, საერთო ოთახის გამოხატული საჭიროება არ აქვთ.

- ✓ გამოვლინდა, რომ ბენეფიციარები ისურვებდნენ საერთო ოთახი იყოს ბავშვებისთვის შესაბამისად აღჭურვილი (61.2%), იმართებოდეს ღონისძიებები (36.5%) და ოთახში იყოს კარგი ბიბლიოთეკა (35.3%). საერთო ოთახს ბენეფიციართა უმრავლესობა არასდროს იყენებდა, თუმცა თუ იყენებდნენ, ძირითადად, პრობლემების განსახილველად ან საინფორმაციო შეხვედრებისთვის.

- ✓ საერთო აივნებს ბენეფიციართა უმრავლესობა, ხოლო საერთო სამრეცხაოებს ბენეფიციართა ნახევარი იშვიათად ან არასდროს იყენებს (საერთო აივნებს – 59.6%, საერთო სამრეცხაო – 49.1%). ვინც არ მოიხმარს საერთო აივნებს, ამის მიზეზად აივნის ზომას და მის მოუხერხებლობას ასახელებს. საერთო

სამრეცხაოს/სარეცხ მანქანებს ბენეფიციართა თითქმის ნახევარი არასდროს იყენებს. ხშირად მხოლოდ 32.5% გამოიყენებს მას. ყველაზე ხშირად საერთო სამრეცხაოებს ბოლნისელები გამოიყენებენ.

- ✓ ცენტრალურ გათბობას თბილისსა და გორში (რუსთავსა და ბოლნისში ჯერ არ დასჭირვებიათ) უმეტესად იყენებენ. ისინი კომუნალურ გადასახადებში საშუალოდ 60 ლარს იხდიან, რაც მცირედ ჩამოუვარდება სამეზობლოს მიერ გადახდილ თანხას (85.2%)

- ✓ სოციალურ საცხოვრისებში ბენეფიციარებს სოციალური მუშაკის, სოციალური საცხოვრისის საბჭოსა და ხელოსნის (თბილისში) სერვისი მიეწოდებათ. მათ მიმართ ბენეფიციარების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. 1. თბილისის ბენეფიციართა სრული უმრავლესობა მიუთითებს ხელოსნის საჭიროებაზე (90.9%). ბენეფიციართა 15.2% თავად შეაკეთებს დაზიანებულ სისტემას, ხოლო მათი ხვედრითი წილი, ვინც სპეციალურ სამსახურს უკავშირდება, საკმაოდ დაბალია. 2. სოციალური მუშაკის მუშაობას სოციალური საცხოვრისის ძირითადი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა რეგიონების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. მაგალითად, რუსთავსა და ბოლნისში ბენეფიციართა სრული უმრავლესობა სოციალური მუშაკის როლსა და ფუნქციებს დადებითად აფასებს, ხოლო გორში – პირიქით, 94.8% სოციალური მუშაკის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი. 3. სოციალური საცხოვრისის საბჭოს ფუნქციებს კი არ იცნობენ არც ბოლნისის (მიჭირს პასუხის გაცემა – 100%), არც რუსთავის (მიჭირს პასუხის გაცემა – 100%) ბენეფიციარები. მისი არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი სმენია გორის ბენეფიციართა უმრავლესობას (68.4%). თბილისის ბენეფიციართა დიდი ნაწილი კი აღნიშნავს, რომ საბჭო არ ასრულებს არავითარ ფუნქციას/ფორმალურად არსებობს. თბილისისა და გორის ბენეფიციართა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭო საერთოდ არ არსებობს

- ✓ მარტოხელა მოხუცები რუსთავისა და ბოლნისის სოციალურ საცხოვრისებში არ ცხოვრობენ. თბილისსა და გორში კი მათ ჯანმრთელობის ან მედიკამენტების პრობლემები ექმნებათ. ამ უკანასკნელით მათ სოციალურ საცხოვრისში არ ამარაგებენ.

- ✓ როგორც ბენეფიციარები აღნიშნავენ, ბავშვებს არ აქვთ გართობის ან დასვენების შესაძლებლობები, თუმცა ისინი მოითხოვენ ხელოვნების და სპორტული წრეების

არსებობასაც. აღსანიშნავია, რომ საშუალო განათლების პრობლემა ბავშვებს იშვიათად ექმნებათ (2.6%), რადგან მათ სასკოლო ნივთები და წიგნები მიეწოდებათ უფასოდ (50.9%). შედარებით ხშირად – ჯანმრთელობის (9.1%) და კვების (8%) პრობლემები ექმნებათ.

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაადგილებისა და აბაზანით/საპირფარეშოთი სარგებლობის პრობლემები აქვთ. ამის მიზეზი არის ის, რომ სოციალურ საცხოვრისში ისინი არც სპეციალური სააბაზანოებით და არც პანდუსებით (სოციალურ საცხოვრისში გადასაადგილებლად) არ არიან უზრუნველყოფილნი.

- ✓ სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებს მიმდებარე კორპუსების მოსახლეობის მიმართ, ძირითადად, პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ. სოციალური დაძაბულობა და კონფლიქტები მათ შორის არ ხდება.

- ✓ სოციალური სახლების ბენეფიციარების განწყობები და ატიტუდები დისონანსშია სოციალური საცხოვრისის კონცეფციასთან და ამ სერვისის მიმღებ ემპირიულ „იდეალურ ტიპთან“. ასეთი იდეალური ტიპი გვკარნახობს, რომ სოციალური სახლის ბენეფიციარი:
    1. იზიარებს იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს;
    2. არ ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს;
    3. მზადაა იმისთვის, რომ დატოვოს სოციალური საცხოვრისი, როგორც კი ქირის გადახდას შეძლებს;
    4. ეთანხმება იმას, რომ სამართლიანი იქნება, თუ სახელმწიფო, სოციალურ სახლში შესახლებიდან გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ოჯახებს ბინის ქირას გადაახდევინებს;
    5. მისთვის არ არის მიუღებელი, რომ საერთო მოხმარებაში ჰქონდეს ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და სხვა ნივთები;
    6. იზიარებს იმას, რომ სოციალურ სახლში მისი ცხოვრება კონტროლდება.

- ✓ გამოკითხვის შედეგების თანახმად, იმ ბენეფიციარების ხვედრითი წილი, ვინც სოციალური სახლის სერვისთან რელევანტურობის ზემოაღნიშნული ექვსი პირობიდან არცერთს არ აკმაყოფილებს, უმრავლესობას (52-55%) შეადგენს; ერთი

რომელიმე პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია ბენფიციართა დაახლოებით მესამედს გააჩნია, ორი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - დაახლოებით 8%-ს, ხოლო სამი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - მხოლოდ დაახლოებით 4%-ს. საინტერესოა, რომ ოთხი და მეტი პირობის მიმართ არც ერთი ბენეფიციარი არ აღმოჩნდა ადეკვატური.

- ✓ ერთი პირობა, რომლის მიმართაც ადეკვატური პოზიცია ყველაზე ხშირად დაასახელეს, შემდეგია: „სოციალური საცხოვრისიდან გავალ, როგორც კი ქირის გადახდას შევძლებ“ - 14.0%; ორი პირობა, რომელთა მიმართაც ადეკვატური პოზიცია ყველაზე ხშირად დაასახელდა, შემდეგია:: „სოციალური საცხოვრისის ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს“ - 7% და „სოციალური საცხოვრისიდან გავალ, როგორც კი ქირის გადახდას შევძლებ“ - 5.3%; სამი პირობიდან გამოირჩევა: „სოციალური საცხოვრისის ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს“ - 2.6%; თითქმის ყველა დანარჩენ პირობას თანაბარი ხვედრითი წილი გააჩნიათ - 1.8%.

- ✓ სოციალური საცხოვრისის „იდეალური ტიპისგან’ გადახრილი, ანუ „დევიანტი“ ბენეფიციარების დამოკიდებულებები არ იცვლება იმის მიხედვით, საქმე გვაქვს იძულებით გადაადგილებულ პირებთან თუ ადგილობრივ სოციალურად დაუცველებთან. არ იცვლება არც დასახლების ადგილის (ანუ, ქალაქების) მიხედვით.

- ✓ სოციალური სახლების სერვისთან არაადეკვატურობა არა მხოლოდ ბენეფიციარებს გამოარჩევს, არამედ მიმდებარე კორპუსების/სახლების მოსახლეობასაც.

- ✓ ურთიერთობა სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და გარე სამეზობლოს (მიმდებარე სახლების/კორპუსების მაცხოვრებლებს) შორის საერთოდ არ არის დაძაბული და კონფლიქტური, პირიქით - შეფასებულია როგორც „დადებითი“ ან „ნეიტრალური“; კონფლიქტების ცალკეული და იშვიათი შემთხვევები ხდება ან ბენეფიციარების მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ნიადაგზე, ან ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო.

- ✓ სოციალური სახლების ბენეფიციარების მიმართ ემპატიის გამომხატველია ისიც, რომ მოსახლეობის წარმომადგენლები მხარს დაუჭერდნენ ბენეფიციარებისთვის

საცხოვრებელი ფართის გამოყოფას „ჩვეულებრივ“ საცხოვრებელ კორპუსებში (სოციალური ინკლუზია); ასევე, აცხადებენ, რომ არ მიიჩნევენ ბენეფიციარებს „სხვებად“, რომლებსაც არ შეიძლება ენდო.

- ✓ გარე სამეზობლოს ძირითადად პოზიტიურ დამოკიდებულებას სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიმართ კიდევ უფრო ამყარებს მათი პოზიცია, რომ ისინი ისურვებდნენ ბენეფიციარებთან ურთიერთობას როგორც პირველადი ჯგუფების (ანუ, უშუალო ემოციური ურთიერთობის), ისე ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში. კერძოდ, გამოკითხული მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (70% და მეტი) დადებითად აფასებს იმას, თუ ბენეფიციარი გახდება მისი ან მისი ოჯახის წევრის კარის მეზობელი, თანამშრომელი (სამსახურში), ბიზნეს პარტნიორი, მეგობარი თუ ნათლია; მეტიც, სულ მცირე, ყოველი მეორე გამოკითხული მოსახლეობის ჯგუფიდან თანახმაა ბენეფიციარი გახდეს მისი ან მისი ოჯახის სექსუალური პარტნიორი ან მეუღლე. აღნიშნული ტენდენცია ძალაშია ყველა ქალაქში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა.

- ✓ ამის შედეგია ის, რომ ბენეფიციარების აბსოლუტური უმრავლესობა (93%) არ გრძნობს თავს გარიყულად გარე დასახლების მაცხოვრებლებისაგან.

- ✓ ვითარება უარესობისაკენ იცვლება მაშინ, როდესაც საქმე ეხება თავად ბენეფიციარებს შორის არსებულ ურთიერთობებს. აქ არაერთგვაროვანი სურათია: იმ სოციალური სახლების ბენეფიციარები, რომელთაც თანაცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ (ასეთია ვარკეთილის საცხოვრისის ბენეფიციარები), ერთმანეთში არსებულ ურთიერთობებს უფრო მეტად აფასებენ როგორც დაძაბულს და კონფლიქტურს (შესაბამისად, ხშირი კონფლიქტების არსებობაზე მიუთითებენ), ხოლო ის ბენეფიციარები, რომელთაც თანაცხოვრების ძალზე მცირე გამოცდილება არა აქვთ (რუსთავსა და ბოლნისში), უარყოფენ ერთმანეთში დაძაბულობისა და კონფლიქტების არსებობას.

- ✓ ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების ძირითადი მიზეზი საცხოვრისის საერთო ფართის მოვლას (23.3%) და საერთო კომუნალური გადასახადების გადახდას (19.8%) უკავშირდება.

- ✓ როგორც ჩანს, კონფლიქტების სიხშირე კავშირშია სულიერ-ფსიქიკურ მდგომარეობასთან: ვარკეთილის ბენეფიციარები სხვა სახლების ბენეფიციარებზე

გაცილებით მეტად აფასებენ თავიანთ სულიერ მდგომარეობას როგორც პესიმისტურს, მშფოთვარეს, დეპრესიულსა და აგრესიულს მას შემდეგ, რაც სოციალურ სახლში გადმოსახლდნენ. სხვა სოციალური სახლების ბენეფიციარები (რომელთაც თანაცხოვრების მცირე გამოცდილება აქვთ) საკუთარ სულიერ მდგომარეობას უფრო მეტად აფასებენ როგორც „მშვიდს“ და „გაწონასწორებულს“.

- ✓ მაშასადამე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებს სერიოზული პრობლემები აქვთ სათემო ცხოვრებისთვის აუცილებელი თანაცხოვრების უნარ-ჩვევების ფლობის თვალსაზრისით. მათ შორის კონფლიქტები სწორედ მაშინ იწყება და მძაფრდება, როდესაც საქმე საერთო ვალდებულებების შესრულებას უკავშირდება (როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრისის საერთო ფართზე ზრუნვა).

I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის **მიზანია** იმ სოციალური პარამეტრების შეფასება, რომლებიც სოციალური საცხოვრისის შექმნისას უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა თავიდან იქნას არიდებული სოციალური დაძაბულობა და კონფლიქტი, ერთი მხრივ, საცხოვრისის ბენეფიციარებს შორის და მეორე მხრივ, ბენეფიციარებსა და ირგვლივ მდებარე კორპუსების მოსახლეობას შორის. კვლევა ფოკუსირდება სოციალურ საცხოვრისში არსებულ მდგომარეობაზე ინფრასტრუქტურის, ექსტერიერისა და ინტერიერის, სოციალური სერვისებისა და სოციალური ორგანიზების ფორმების გათვალისწინებით.

სოციოლოგიური კვლევის **ამოცანებია**:

1. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის არსებული მდგომარეობის შესწავლა;
2. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესწავლა;
3. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა დამოკიდებულებებისა და ატიტუდების შეფასება სოციალური საცხოვრისის მიმართ;
4. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა დამოკიდებულებებისა და ატიტუდების შეფასება სოციალური საცხოვრისის ირგვლივ მდებარე კორპუსების/სახლების მოსახლეობის მიმართ;
5. სოციალური საცხოვრისის ირგვლივ მდებარე კორპუსების/სახლების მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და ატიტუდების შეფასება სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიმართ;

1.2. გამოყენებული მეთოდები

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი, რომელიც კვლევის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა.

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში თბილისში, გორში, რუსთავსა და ბოლნისში სულ 664 ინტერვიუ ჩატარდა **პირისპირ ინტერვიუს მეთოდის** გამოყენებით. ფოკუსირება მოხდა ორ სამიზნე ჯგუფზე:

1. არსებული სოციალური საცხოვრისების ბენეფიციარები თბილისში, ვარკეთილში, ასევე გორში, რუსთავსა და ბოლნისში;
2. სოციალური საცხოვრისების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების/სახლების მაცხოვრებლები თბილისში, გორში, რუსთავსა და ბოლნისში.

კვლევის ინსტრუმენტი იყო კრიტერიუმთა კატალოგი. ის გამოიყენებოდა იმ ძირითადი მახასიათებლების აღწერისთვის, რომლებსაც, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს და მეორე მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საცხოვრისი. აღნიშნული პარამეტრებია:

- კორპუსების/კოტეჯებისა და ბინების დიზაინი (ოთახების განლაგება ბინებში, მოწყობა, საერთო სივრცის არსებობა და ა.შ);
- სოციალური ორგანიზაციის ფორმა (რა არის უმჯობესი – ანონიმურობა თუ სოციალური კონტროლი);
- ინფრასტრუქტურა (ტრანსპორტის, მაღაზიების, საბავშვო ბაღის, სკოლის, აფთიაქის და ა.შ. ხელმისაწვდომობა);
- დასაქმების შესაძლებლობები;
- დასვენებისა და გართობის შესაძლებლობები (რეკრეაციული სივრცეები, სათამაშო მოედნები, ხმის იზოლაციის სისტემები);
- მოხუცებულთა, ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის პირების მდგომარეობა;
- ღირსეული ცხოვრების წარმოება და ა.შ.

აღნიშნული და სხვა სოციალური პარამეტრები განხილული და შეფასებული იქნა **ჯგუფური დისკუსიების** (ფოკუს-ჯგუფების) მეშვეობით და ადაპტირდა ქართული რეალობის შესაბამისად. მათი დახმარებით შემუშავდა ადეკვატური კითხვარი, რათა განსაზღვრულიყო ის ინდიკატორები, რომელთა გაზომვა მოხდებოდა რაოდენობრივი კვლევის პროცესში. მაშ, ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო იმ ვალიდური ინდიკატორების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება, რომლის ბაზისზეც შეიქმნებოდა ადეკვატური კითხვარის დიზაინი, ამდენად ჯგუფურ დისკუსიებს ჰქონდა არა დამოუკიდებელი, არამედ დამხმარე ფუნქცია კითხვარის შესადგენად.
მოცემული პროექტის ფარგლებში სამი ჯგუფური დისკუსია ჩატარდა:

1. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებთან თბილისში, ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში
2. თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან
3. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ურბანული განვითარების ექსპერტებთან

დისკუსიის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა მოდერატორის გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა იმ 15–20 საკვანძო საკითხისგან, რომელთა განხილვაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ჯგუფთან. თითოეული ჯგუფური დისკუსია შედგებოდა 6–10 წევრისგან, დისკუსიის ხანგრძლივობა ვარირებდა 1.5–2 საათს შორის. ჯგუფური დისკუსიები ჩაიწერა როგორც ვიდეო, ასე აუდიო სახით, რის შესახებაც მონაწილეებს ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია. თითოეული ჩანაწერის გაშიფრვის შემდეგ გაკეთდა დისკუსიების ტრანსკრიპტები. მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურზე მოხდა. პირველ რიგში, ტექსტის ფორმალური ანალიზი ჩატარდა – ერთმანეთისგან მოხდა ფაქტობრივი და შეფასებითი ნაწილების გამოყოფა; მეორე საფეხურზე ფაქტობრივი მასალის სტრუქტურული ანალიზი გაკეთდა, რაც სხვადასხვა კრიტერიუმით მონაცემების სისტემატიზაციას გულისხმობს; შემდეგ საფეხურზე შეფასებითი ნაწილის ანალიზი და ყველაზე გავრცელებული შეფასების სქემების იდენტიფიცირება მოხდა, მხედველობაში მიღებული იქნა მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტი შეფასებებს შორის; ანალიზის საბოლოო ნაწილში ინტერპრეტაციული და ფაქტორული ნაწილების გენერალიზებული ტიპების იდენტიფიცირება მოხდა.

კვლევის რაოდენობრივ ნაწილში კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შეიქმნა ფოკუს ჯგუფების მონაცემების მიხედვით და რომელმაც მოიცვა შემდეგი ბლოკები: ა) სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები; ბ) ბენეფიციართა ზოგადი განწყობები და ატიტუდები სოციალური საცხოვრისის მიმართ; გ) ინფრასტრუქტურა; დ) საცხოვრისის ექსტერიერი და ინტერიერი; ე) საერთო სივრცე და ნივთები; ვ) კომუნალური გადასახადები; ზ) მოხუცებულთა, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებები; თ) სოციალურ საცხოვრისში არსებული სოციალური სერვისები – სოციალური მუშაკი, საცხოვრისის საბჭო; ი) ურთიერთობა და კომუნიკაცია ბენეფიციარებს შორის და ბენეფიციართა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების/სახლების მაცხოვრებლებს შორის; კ) სოციალური დახმარება, პენსია, დაზღვევა და სამედიცინო მომსახურება; ლ) დასაქმება და პროფესიული გადამზადება მ) სოციალური

ორგანიზების ფორმები (ანონიმურობა – სოციალური კონტროლი) და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები.

1.3. შერჩევის აღწერა

კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში, სადაც სოციალური საცხოვრისები არსებობს. 1. თბილისში, ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში, რომელიც 4 წელზე მეტია ფუნქციონირებს; 2. გორში, სადაც სოციალური საცხოვრისი 3 წელია ფუნქციონირებს; 3. რუსთავსა და 4. ბოლნისში, სადაც სოციალური საცხოვრისი რამდენიმე კვირაა ფუნქციონირებს.

შერჩევის ცდომილება მაქსიმუმ 5%–ია 95%–იანი სანდოობით.

სამიზნე (გენერალურ) ერთობლიობად არჩეულ იქნა:

- ✓ ვარკეთილის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები: ვარკეთილის სოციალურ სახლში სულ 52 ოჯახიდან 66 ადამიანი გამოიკითხა, მათგან 31 – იძულებით გადაადგილებულ პირი.
- ✓ გორის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები: გორის სოციალურ საცხოვრისში 13 ოჯახიდან 19 ადამიანი გამოიკითხა, მათგან 9 – იძულებით გადაადგილებული პირი;
- ✓ რუსთავის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები: რუსთავის სოციალურ საცხოვრისში 12 ოჯახიდან 14 ადამიანი გამოიკითხა, მათგან 1 იძულებით გადაადგილებულ პირი;
- ✓ ბოლნისის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები: ბოლნისის სოციალურ საცხოვრისში 12 ოჯახიდან 15 ადამიანი გამოიკითხა, მათგან 8 – იძულებით გადაადგილებულ პირი.
- ✓ თბილისში, გორში, რუსთავსა და ბოლნისში მდებარე სოციალური საცხოვრისების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა: ამ ტერიტორიებზე გამოიკითხა ის პოპულაცია, რომელიც შეადგენს უშუალო სამეზობლოს სოციალური საცხოვრისისა. თბილისში საშუალო ზომა ასეთი სამეზობლოში 1500 მოსახლისგან შედგება. რეპრეზენტატული შერჩევის შესაბამისად გამოიკითხა 250 რესპონდენტი. გორში, რუსთავსა და ბოლნისში კი საშუალო ზომა შედგება 800 მოსახლისგან, სადაც გამოიკითხა 100–100 (სულ 300) რესპონდენტი.

ინტერვიუების რაოდენობა რეგიონებისა და ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში (**იხ. ცხრილი 1**):

ცხრილი 1:

სამიზნე ჯგუფები	გორი	რუსთავი	ბოლნისი	ვარკეთილი	სულ
სამეზობლო	100	100	100	250	**550**
ბენეფიციარები (ადგილობრივები)	10	13	7	35	**65**
ბენეფიციარები (იძულებით გადაადგილებული პირები)	9	1	8	31	**49**
სულ	**119**	**114**	**115**	**316**	**664**

სამიზნე ჯგუფი: 1. რეპრეზენტატული შერჩევის ფარგლებში სოციალური სახლის ბენეფიციარებს შორის თითო ოჯახიდან ერთი 18+ წევრი მაინც გამოიკითხა. თუ 18+ წევრების რიცხვი აღემატებოდა ორს, მაშინ ოჯახის 2 წევრი იყო გამოკითხული; 2. სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები სრულწლოვანი მოსახლეობა თბილისში (ვარკეთილში), გორში, რუსთავში და ბოლნისში. გამოიკითხა თითო ოჯახიდან ერთი 18+ წევრი.

შერჩევის მოცულობა: 664
კვლევის ინსტრუმენტი: სტანდარტიზებული კითხვარი
ინტერვიუს მეთოდი: პირისპირი ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი: ბენეფიციარების შემთხვევაში – მიზნობრივი შერჩევა, სამეზობლოს შემთხვევაში – შემთხვევითი შერჩევა.
პირველადი შერჩევის ერთეული (PSU): რეგიონები
მეორედი შერჩევის ერთეული (SSU): ოჯახები
საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU): სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარი სრულწლოვანი მამაკაცები და ქალები; სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელი სრულწლოვანი ქალები და მამაკაცები -მათ შესარჩევად გამოიყენებოდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდი, რომლის დროსაც გამოიკითხებოდა ყოველი მესამე ოჯახი. გამოიყენებოდა სქესისა და ასაკის მიხედვით კვოტირების მეთოდი.

1.4. საველე სამუშაოები

კითხვარების ჩამოყალიბების შემდეგ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა საპილოტე კვლევა. თავდაპირველად ჩატარდა 6 საპილოტე ინტერვიუ, რომელიც ჩაატარა ორმა ინტერვიუერმა. აღნიშნული პროცედურის ანალიზის პროცესში მოხდა კითხვარის სტრუქტურის, ენის, სპეციფიკური

კითხვების დახვეწა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსის მიერ საპილოტე კვლევის შესწავლისა და რეფლექსიის შემდეგ მოხდა კითხვარის საბოლოო ვარიანტის შემუშავება.

კითხვარების შემუშავების შემდეგ მოხდა ინტერვიუერების გადამზადება და მათთვის კითხვარის სპეციფიკის გაცნობა. ველი მიმდინარეობდა 2 კვირის განმავლობაში.

1.5. მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა კოდირება და კომპიუტერში შეტანა: განხორციელდა კითხვარში ჩართულ ღია შეკითხვებზე რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხების დაჯგუფება და ფორმალიზება, მათთვის კოდების (რაოდენობრივი მაჩვენებლების) მინიჭების გზით. კოდირებული პასუხები შეტანილ იქნა ყოველი კონკრეტული გამოკითხვისთვის შექმნილ ცვლადების აღწერის კომპიუტერულ ბაზაში. მონაცემების შეყვანა განახორციელა 3–მა ტექნიკურმა ასისტენტმა. თითოეულმა მათგანმა კომპიუტერში შეიტანა დაახლოებით 220 კითხვარი.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსმა გაწმინდა, შეწონა და გაასუფთავა მონაცემები. გამოკითხვის მონაცემები დამუშავდა სოციალურ კვლევათა სტატისტიკური პროგრამის SPSS ბაზაზე. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი განხორციელდა უნივარიაციული (სიხშირული განაწილებები, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები) და ბივარიაციული (კროსტაბულაცია, კორელაცია) ანალიზის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

II. სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევის შედეგების ნათლად წარმოჩენისთვის აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდეს საკვლევი ჯგუფის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. სოციალურ საცხოვრისში ძირითადად 3–5 წევრიანი ოჯახები არიან, მარტოხელების ხვედრითი წილი საკმაოდ დაბალია **(იხ. დიაგრამა #1)**:

დიაგრამა #1



გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი 25–დან 45 წლამდეა. **(იხ. დიაგრამა #2)**:

დიაგრამა #2



ოჯახების მეოთხედს 18 წლამდე ბავშვი არ ჰყავს. მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაოჯახებულია. სოციალურ საცხოვრისში სტატუსების მიხედვით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (22.2%) მრავალშვილიან ოჯახებზე მოდის. რაც შეეხება სოციალური სახლების მიმდებარე კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას, გამოკითხულთაგან უმრავლესობა (66.5%) დაოჯახებულია. დაოჯახებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა რუთავში გამოიკითხა.

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართაგან ყოველ მეორეს საშუალო ან საშუალო ტექნიკური განათლება აქვს. სოციალური სახლის მიმდებარე კორპუსების/სახლების მაცხოვრებლების განათლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ბენეფიციართა განათლების მდგომარეობისგან, კერძოდ, მიმდებარე კორპუსებში გამოკითხულთა განათლება ძირითადად უმაღლესი 38.9% ან საშუალოა 31.8% **(იხ. დიაგრამა #3)**. საშუალო განათლების მქონეთაგან ყველაზე მეტი გორში, ხოლო უმაღლესი განათლების მქონეთაგან – თბილისსა და რუსთავში გამოიკითხა.

დიაგრამა #3



სამეზობლოში ყველაზე ხშირად პედაგოგები, ეკონომისტები და ინჟინრები გამოიკითხნენ, ხოლო მათი ხვედრითი წილი, ვისაც პოროფესია არ ჰქონდა, 10.9%–ია. ბენეფიციართაგან კი მეხუთედს არ აქვს პროფესია, ხოლო მათგან, რომლებსაც

პროფესია ან ხელობა აქვთ, დიდი ნაწილი ხელოსანია ან მომსახურების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს.

ბენეფიციართა შემოსავლის ძირითადი წყარო სოციალური დახმარება ან სხვა სახელმწიფო შემწეობაა. ხელფასს, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროს, ბენეფიციართა მხოლოდ მეხუთედი ასახელებს.

როგორც აღმოჩნდა, ბენეფიციართა ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 265.73 ლარია. მნიშვნელოვანია, რომ თბილისსა და გორში შემოსავალის საშუალო მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე რუსთავში, ხოლო ბოლნისში ყველაზე დაბალი საშუალო შემოსავალი დაფიქსირდა. საერთო ჯამში, ოჯახის შემოსავალი ერთ სულზე თბილისში 81.68 ლარია, ხოლო ბოლნისში – 51.07. ის ოჯახები, რომელთაც საერთოდ არ აქვთ შემოსავალი, გენერალური ერთობლიობის 4.4%–ია **(იხ. დიაგრამა #4)**:

დიაგრამა #4



რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში/ბინებში მცხოვრებ მოსახლეობას, მათი ოჯახების საშუალო შემოსავალი 493.54 ლარია. თბილისში

საშუალო შემოსავალი ყველაზე მაღალია (632.09 ლარი), ხოლო გორში – ყველაზე დაბალი (312.23 ლარი). რუსთავში და ბოლნისში ოჯახის საშუალო შემოსავალი თითქმის იდენტურია (**იხ. დიაგრამა #5**):

დიაგრამა #5



სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები საკუთარი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას აფასებენ, როგორც დაბალს ან ძალიან დაბალს (**იხ. დიაგრამა #6**):

დიაგრამა #6



შეჯამება

ბენეფიციართა და მიმდებარე კორპუსების მოსახლეობის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები, ოჯახური მდგომარეობის და განათლების მიხედვით, მსგავსია. სახეზეა მცირე განსხვავებები, მაგალითად, სამეზობლოდან გამოკითხულთა მეათედს, ხოლო ბენეფიციართაგან გამოკითხულთა მეხუთედს არ აქვს პროფესია. იმ ბენეფიციართაგან, რომლებსაც პროფესია ან ხელობა აქვთ, დიდი ნაწილი ხელოსანია ან მომსახურების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. სამეზობლოში კი ყველაზე ხშირად პედაგოგები, ეკონომისტები და ინჟინრები გამოიკითხნენ.

როგორც აღმოჩნდა, ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალი თითქმის ორჯერ ნაკლებია სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახთა შემოსავალზე. ბენეფიციართა და სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახების შემოსავალი ყველაზე მეტად ერთმანეთისგან თბილისში განსხვავდება, სადაც სამეზობლოს ოჯახების საშუალო შემოსავალი ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალზე თითქმის 2.5–ჯერ მეტია, ხოლო ყველაზე ნაკლებად – გორში, სადაც სამეზობლოს მოსახლეობის ოჯახების საშუალო შემოსავალი ბენეფიციართა ოჯახების საშუალო შემოსავალს მხოლოდ 6 ლარით აღემატება.

III. დასაქმება და პროფესიული გადამზადება

ბენეფიციართა მხოლოდ 17.1% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია. დასაქმების ადგილებია: სახელმწიფო სექტორი, კერძო ლიცენზირებული ბიზნესი და თვითდასაქმება. გამოკითხულთა მეოთხედი პენსიონერია, ხოლო 11% - დიასახლისი. ბენეფიციართა 46% საკუთარ სტატუსს დასაქმებასთან მიმართებაში განსაზღვრავს, როგორც „უმუშევარი“ (**იხ. დიაგრამა #7**):

დიაგრამა #7



დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა მანამდეც მუშაობდა, სანამ სოციალურ სახლში გადმოვიდოდა. სამსახურის მოძებნის წყარო, ძირითადად, არაფორმალურია - ნაცნობ/მეგობრები. დასაქმებული რესპონდენტები საკუთარი სამუშაო ადგილის პირობების მიმართ კმაყოფილებას ან ნეიტრალურ დამოკიდებულებას („არც

კმაყოფილი, არც უკმაყოფილო“) გამოხატავენ. მათი უმრავლესობა არც ახალი სამსახურის მოძებნას აპირებს.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სოციალური სახლების ბენეფიციართა ის ნაწილი, ვინც დასაქმებისთვის ვალიდურია[1], თუმცა, ამჟამად არ მუშაობს, სამსახურის მოძებნის თვალსაზრისით საკმარისად აქტიურია. მათი გამოკვეთილი უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ ეძებს სამსახურს **(იხ. დიაგრამა #8)**:

დიაგრამა #8



სამსახურის მოძებნის ყველაზე გავრცელებული წყარო კვლავ არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები. თუმცა სამსახურის მაძიებელ რესპონდენტთა მესამედი ინტერნეტსაც იყენებს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ხოლო გამოყენებულ წყაროთა მეხუთედი ვაკანსიების ბეჭდურ განცხადებებზე მოდის **(იხ. დიაგრამა #9)**:

[1] დასაქმებისთვის ვალიდურად ჩავთვალეთ ის ბენეფიციარები, რომლებმაც საკუთარი სტატუსი განსაზღვრეს როგორც „უმუშევრები“, აგრეთვე, არაპენსიონერი დიასახლისები და სტუდენტები.

დიაგრამა #9



ძირითადი მოთხოვნა, რასაც ბენეფიციარები ახალ (პოტენციურ) სამსახურს უყენებენ, ნორმალური ანაზღაურებაა. თუმცა ბენეფიციარებისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სამსახურის სტაბილურობა და მისი შესაბამისობა პროფესიულ უნარ-ჩვევებთან.

სამსახურის მაძიებელ ბენეფიციართა დაახლოებით ნახევარს უჭირს დაასახელოს ის სასურველი ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც ახალ სამსახურში მუშაობას დათანხმდება. მათთვის, ვინც გარკვეულ თანხას ასახელებს, ანაზღაურება მერყეობს თვეში 300-იდან 1500 ლარამდე, საშუალო მაჩვენებელია 550 ლარი **(იხ. დიაგრამა #10):**

დიაგრამა #10



დასაქმების მდგომარეობის თვალსაზრისით, **მოსახლეობაში** არსებული ვითარება სოციალური სახლების ბენეფიციარებში არსებული ვითარების მსგავსია, თუმცა, შეიმჩნევა განსხვავებებიც **(დეტალურად იხ. დიაგრამებზე #11, 12, 13, 14)**:

ა) უმუშევართა ხვედრითი წილი მოსახლეობაში 38%-ია (ბენეფიციარებში - 46%);

ბ) უმუშევარი ბენეფიციარები უფრო აქტიურნი არიან სამსახურის მოძიებაში (ეძებს 70%), ვიდრე მოსახლეობის უმუშევარი წარმომადგენლები (ეძებს 52%);

გ) მოსახლეობაში, ისევე, როგორც ბენეფიციარებში, სამსახურის მოძებნის ძირითადი წყარო არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები;

დ) ძირითადი მოთხოვნა, რასაც მოსახლეობის უმუშევარი ნაწილი (ბენეფიციართა მსგავსად) პოტენციურ სამსახურს უყენებს, არის ნორმალური ანაზღაურება;

ე) სასურველი ანაზღაურების საშუალო რაოდენობაა 630 ლარი თვეში (ბენეფიციარებთან იყო 550 ლარი თვეში).

დიაგარმა #11:



დიაგრამა #12:



დიაგრამა #13:



დიაგრამა #14:



გამოკითხულ ბენეფიციართა ნახევარი აღნიშნავს, რომ სოციალურ სახლის მაცხოვრებლებისათვის არ ჩატარებულა პროფესიული გადამზადების ტრენინგები, რაც მათ უფრო კონკურენტუნარიანს გახდიდა შრომის ბაზარზე. ასეთი ტრენინგების ჩატარების მხრივ, ყველაზე კარგი სიტუაცია რუსთავსა და ბოლნისშია, ხოლო ყველაზე ცუდი - გორსა და თბილისში (გორში აბსოლუტურად ყველა გამოკითხული აღნიშნავს, რომ პროფესიული გადამზადების ტრენინგები არ ჩატარებიათ). ტრენინგების ჩატარებაზე სოციალური სახლების ადგილობრივი ბენეფიციარები უფრო მიუთითებენ, ვიდრე - დევნილები **(იხ. დიაგრამა #15)**.

დიაგრამა #15:



მეორე მხრივ, დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა (90%-მდე) საჭიროდ მიიჩნევს სოციალურ სახლებში პროფესიული გადამზადების ტრენინგების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობდა დასაქმების პრობლემის მოგვარებას **(იხ. დიაგრამა #16)**:

დიაგრამა #16



შეჯამება

ბენეფიციართა მხოლოდ 17.1%-ია დასაქმებული. დასაქმების ადგილებია: სახელმწიფო სექტორი, კერძო ლიცენზირებული ბიზნესი და თვითდასაქმება. გამოკითხულთა მეოთხედი პენსიონერია, ხოლო 11% - დიასახლისი. ბენეფიციართა 46% საკუთარ სტატუსს დასაქმებასთან მიმართებაში განსაზღვრავს როგორც „უმუშევარი“. უმუშევართა 70% აცხადებს, რომ ეძებს სამსახურს. სამსახურის მოძებნის ყველაზე გავრცელებული წყარო არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები. თუმცა, სამსახურის მაძიებელ რესპონდენტთა მესამედი ინტერნეტსაც იყენებს.

ძირითადი მოთხოვნა, რასაც ბენეფიციარები ახალ (პოტენციურ) სამსახურს უყენებენ, ნორმალური ანაზღაურებაა. თუმცა, მნიშვნელოვანია, ასევე, სამსახურის სტაბილურობა და მისი შესაბამისობა პროფესიულ უნარ-ჩვევებთან. სამსახურის მაძიებელ ბენეფიციართა დაახლოებით ნახევარს უჭირს დასახელოს ის სასურველი ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც ახალ სამსახურში მუშაობას დათანხმდება.

მათთვის, ვინც გარკვეულ თანხას ასახელებს, ანაზღაურება მერყეობს თვეში 300-იდან 1500 ლარამდე. საშუალო მაჩვენებელია 550 ლარი.

ბენეფიციართა ნახევარი აღნიშნავს, რომ სოციალური სახლის მაცხოვრებლებისათვის არ ჩატარებულა პროფესიული გადამზადების ტრენინგები. ამ მხრივ, ყველაზე კარგი სიტუაცია რუსთავსა და ბოლნისშია, ხოლო ყველაზე ცუდი - გორსა და თბილისში. პროფესიული გადამზადების საჭიროებას, დასაქმების სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ბენეფიციართა აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) ეთანხმება.

დასაქმების მდგომარეობის თვალსაზრისით, მოსახლეობაში არსებული ვითარება სოციალური სახლების ბენეფიციარებში არსებული ვითარების მსგავსია, თუმცა, შეიმჩნევა განსხვავებებიც: უმუშევართა ხვედრითი წილი მოსახლეობაში 38%-ია (ბენეფიციარებში - 46%); უმუშევარი ბენეფიციარები უფრო აქტიურნი არიან სამსახურის მოძებნაში (ეძებს 70%), ვიდრე მოსახლეობის უმუშევარი წარმომადგენლები (ეძებს 52%); მოსახლეობაში, ისევე როგორც, ბენეფიციარებში, სამსახურის მოძებნის ძირითადი წყარო არაფორმალურია - ნაცნობ-მეგობრები; ძირითადი მოთხოვნა, რასაც მოსახლეობის უმუშევარი ნაწილი (ბენეფიციართა მსგავსად) პოტენციურ სამსახურს უყენებს, არის ნორმალური ანაზღაურება; სასურველი ანაზღაურების საშუალო რაოდენობაა 630 ლარი თვეში (ბენეფიციარებთან იყო 550 ლარი თვეში).

IV. სოციალური დახმარებები

4.1. დახმარების ტიპები

სოციალური დახმარებები, თავისი შინაარსით, შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, ვისზე ხდება მათი გაცემა: ოჯახზე მთლიანად თუ ოჯახის რომელიმე წევრზე. მაგ. უმწეოთა ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევა გაიცემა ღარიბ (უმწეო) ოჯახზე, ანუ ოჯახის ყველა წევრზე. ეს დახმარებები გაიცემა ე.წ. „მისამართული სოციალური დახმარების“ ფარგლებში, სარეიტინგო ქულების შესაბამისად. ამისაგან განსხვავებით, ისეთი დახმარებები, როგორიცაა შშმ პირების პენსია და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება ინდივიდუალური დახმარებებია. ამასთან, უმწეთა ფულადი დახმარება ყველა სხვა დახმარების მიმართ ალტერნატიულია (ანუ, ვინც უმწეოთა დახმარებას იღებს, ის, ამავე დროს, ვერ მიიღებს ვერც დევნილთა და ვერც შშმ პირთა დახმარებას). ცხადია, ინდივიდუალურია მოხუცებულთა პენსიაც.

როგორც აღმოჩნდა, სოციალური სახლების ბენეფიციართა შორის ყველაზე გავრცელებული სოციალური დახმარება **სამედიცინო დაზღვევის პოლისია;** ოჯახების უმრავლესობა იღებს უმწეოთა ფულად დახმარებასაც. როგორც ითქვა, ორივე ეს დახმარება ე.წ. „მისამართული სოციალური დახმარების“ ფარგლებში გაიცემა.

იძულებით გადაადგილებულ ბენეფიციართა შორის ყოველი მეორე დევნილთა დახმარებას იღებს. დევნილთა დაახლოებით მეორე ნახევარი ამ დახმარებას ან არ იღებს, ან აცხადებს, რომ იღებდა და შეუწყდა. ამის პრაქტიკულად ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ დევნილთა 45% იღებს უმწეოთა დახმარებას, ხოლო, როგორც უკვე ითქვა, ეს ნაწილი ამავე დროს (ანუ, პარალელურად) დევნილთა დახმარებს ვეღარ აიღებს. გარდა ამისა, დევნილთა ოჯახებში ცხოვრობენ ისეთი პირებიც, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი არ აქვთ.

შშმ პირთა დახმარებას პრაქტიკულად ყველა ასეთი სტატუსის მქონე ბენეფიციარი იღებს. მხოლოდ ერთი შშმ პირი აღნიშნავს რუსთავის სოციალური სახლიდან, რომ მას დახმარება შეუწყდა. ამის მიზეზი კვლავ ისაა, რომ ეს დახმარება ჩანაცვლდა უმწოთა ფულადი დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ უმწეოთა ფულად დახმარებას ძირითადად თბილისსა და გორში იღებენ, თუმცა, სამედიცინო დაზღვევას ყველა ქალაქის სოციალური სახლების ბენეფიციართა უმრავლესობა იღებს.

ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რაიმე სახის ერთჯერადი დახმარება ბენეფიციართა შედარებით მცირე რაოდენობას აქვს აღებული (15.8%). ეს დახმარება ძირითადად გამოიხატება მედიკამენტების შეძენასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაში (დეტალურად სოციალური დახმარებების მიღებასთან დაკავშირებული მონაცემები **იხ. დიაგრამებზე #17, 18, 19, 20, 21**):

დიაგრამა #17



დიაგრამა #18



დიაგრამა #19



დიაგრამა #20



დიაგრამა #21



4.2. პრობლემები სოციალური დახმარებების მიღებისას

ბენეფიციართა დაახლოებით 40% აღნიშნავს, რომ პრობლემები შეექმნა სოციალური დახმარებების მიღებასთან დაკავშირებით. მათი პრეტენზიები ძირითადად უკავშირდება დახმარებების შეწყვეტას (მათი შეფასებით, „უკანონო შეწყვეტას“); ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტები უჩივიან, აგრეთვე, იმას, რომ დახმარება ეკუთვნოდათ და არ მისცეს, ან დაგვიანებით მისცეს და ა.შ.[2] **(იხ. დიაგრამა #22)**:

დიაგრამა #22



მონაცემთა ჯვარედინი ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევებს შორის, რომლებიც დახმარების შეწყვეტას უკავშირდება (ასეთია 30 შემთხვევა), 8 შემთხვევა მოდის უმწეოთა ფულადი დახმარების შეწყვეტაზე, 6 - სამედიცინო დაზღვევის პოლისის შეწყვეტაზე, ხოლო 3 - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების შეწყვეტაზე

[2] თუმცა, კითხვარში არ იყო სპეციფიკურად აღნიშნული, სოციალური დახმარებების შეწყვეტა მოხდა სოციალურ სახლებში ოჯახების შესახლების მერე თუ მანამდე.

(დანარჩენი შემთხვევების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა). იმ 8 ოჯახიდან, ვისაც უმწეოთა ფულადი დახმარება შეუწყდა, 6 ოჯახი სამედიცინო დაზღვევის პოლისს იღებს. სხვა ტიპის დახმარებები მათზე არ გაიცემა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ოჯახებს, ხელახალი გადამოწმების შედეგად, სარეიტინგო ქულა შეეცვალათ (აუმაღლდათ), რამაც გამოიწვია მათთვის ფულადი დახმარების მოხსნა და, უმრავლეს შემთხვევაში, ამ დახმარების ჩანაცვლება სამედიცინო დაზღვევის პოლისით.

გამოკითხვის სხვა საინტერესო შედეგები ისაა, რომ **(იხ. დიაგრამა #23)**:

ა) ბენეფიციართა უმეტესი ნაწილი ერთდროულად 2 ტიპის სოციალურ დახმარებას იღებს: უმწეოთა ფულადი დახმარებას და მოხუცებულობის პენსიას

ბ) იძულებით გადაადგილებულ ბენეფიციართა უფრო დიდი ნაწილი იღებს დახმარებას, ადგილობრივ სოციალურად დაუცველებთან შედარებით; ამასთან, იძულებით გადაადგილებულ პირებზე უფრო მეტი (2 ან 3) დახმარება გაიცემა, ვიდრე სოციალურად დაუცველებზე;

გ) არსებობს სოციალურად დაუცველთა ერთი ნაწილი (12%), რომელიც აცხადებს, რომ საერთოდ არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.

დიაგრამა #23



მათგან ვინც ორი ტიპის დახმარებას იღებს გამოირჩევა: „უმწეოთა ფულადი დახმარება“ - 32.5% და „მოხუცებულობის პენსია“ - 45.6%

სამი ტიპის დახმარების შემთხვევაში: „უმწეოთა ფულადი დახმარება“ - 20,2%; „სამედიცინო დაზღვევის პოლისი“ - 26,3% და „მოხუცებულობის პენსია“ - 20,2%

შეჯამება:

სოციალური სახლების ბენეფიციართა შორის ყველაზე გავრცელებული სოციალური დახმარება სამედიცინო დაზღვევის პოლისია; ოჯახების უმრავლესობა იღებს უმწეოთა ფულად დახმარებასაც (ორივე ეს დახმარება ე.წ. „მისამართული სოციალური დახმარების“ ფარგლებში გაიცემა).

პრაქტიკულად არც ერთი იძულებით გადადგილებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არ არის დარჩენილი ან ამ ჯგუფებისთვის გამიზნული სოციალური დახმარებების გარეშე, ან, ამ დახმარებათა ჩამნაცვლებელი, უმწეოთა ფულადი დახმარების გარეშე.

სოციალურ საცხოვრისში არსებობს ადგილობრივ სოციალურად დაუცველთა ერთი ნაწილი (12%), რომელიც აცხადებს, რომ არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას; საშუალოდ ყოველი მეორე ბენეფიციარი ერთდროულად 2 ტიპის სოციალურ დახმარებას იღებს; ამასთან, იძულებით გადაადგილებულ ბენეფიციართა უფრო დიდი ნაწილი იღებს ამა თუ იმ სოციალურ დახმარებას, ვიდრე ადგილობრივი სოციალურად დაუცველები; თანაც იძულებით გადაადგილებულ პირებში 90%-ია ისეთი, ვისზეც ერთდროულად 2 ან 3 ტიპის სოციალური დახმარება გაიცემა, ხოლო ასეთთა ხვედრითი წილი 66%-ია.

სოციალური სახლების ბენეფიციართა დაახლოებით 40% აღნიშნავს, რომ პრობლემები შეექმნა სოციალური დახმარებების მიღებასთან დაკავშირებით. მათი პრეტენზიები ძირითადად უკავშირდება დახმარებების შეწყვეტას; ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტები უჩივიან, აგრეთვე, იმას, რომ დახმარება ეკუთვნოდათ და არ მისცეს, ან დაგვიანებით მისცეს და ა.შ. შეწყვეტილი დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის უმწეოთა დახმარებაზე, რაც, სავარაუდოდ, სოციალურ საცხოვრისში გადასვლის შემდეგ ბენეფიციართა ოჯახების სარეიტინგო ქულის შეცვლას უკავშირდება (ოჯახების კეთილდღეობის დონის გადამოწმების შედეგად).

V. ინფორმირებულობის ხარისხი სოციალური საცხოვრისის შესახებ

სოციალური საცხოვრისის ირგვლივ მდებარე კორპუსებში/სახლებში მცხოვრები მოსახლეობის 63.9% მიიჩნევს, რომ სოციალური საცხოვრისის შესახებ მცირე ინფორმაცია აქვს. მათი ხვედრითი წილი, ვისაც საერთოდ არაფერი სმენია სოციალურ საცხოვრისზე, დაბალია. ხოლო ვინც სრულ ინფორმაციას ფლობს მის შესახებ, არ აღემატება 7.5%–ს.

ინფორმირებულობის ხარისხი რამდენიმე დებულებით შემოწმდა, რომლებიც საცხოვრისის ძირითად მახასიათებლებს ეხებოდა და ორ საკვანძო საკითხს გამოკვეთდა: თუ ვისი ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სოციალური საცხოვრისი და რა პირობებით შესახლდნენ ბენეფიციარები. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის შესახებ სამეზობლოს შედარებით მეტი ინფორმაცია აქვს – წარმოდგენილ დებულებებს უმრავლესობა სწორად პასუხობს. თითოეულ დებულებაზე რესპონდენტთა დაახლოებით მსგავს რაოდენობას, მესამედს, გაუჭირდა პასუხის გაცემა. ოთხივე დებულებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი ინფორმაცია გორის სამეზობლოს მოსახლეობას აქვს, ხოლო ყველაზე ნაკლები – ბოლნისის მოსახლეობას. ერთადერთი საკითხი, რომელშიც ბოლნისს რუსთავი ჩამორჩება, ბინების საკუთრებაში გადაცემაა **(იხ. დიაგრამა #24)**:

დიაგრამა #24



გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სოციალურ სახლში ან სოციალურად დაუცველები ან იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ. პასუხს, რომ აღნიშნული საცხოვრებელი განკუთვნილია როგორც დევნილების, ასე სოციალურად დაუცველებისთვის, მხოლოდ 22.8% აფიქსირებს (**იხ. დიაგრამა #25**):

დიაგრამა #25



შეჯამება

სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორუსების/სახლების მაცხოვრებელთაგან სოციალური სახლების შესახებ სრულ ინფორმაციას მხოლოდ 7.5% ფლობს, ხოლო მცირე ინფორმაცია 63.9%–ს აქვს.

ინფორმაციულობის შესამოწმებლად ოთხი დებულება შემუშავდა, რომლებიც საცხოვრისის ძირითად მახასიათებლებს ეხებოდა და ორ საკვანძო საკითხს გამოკვეთდა: 1. თუ ვისი ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სოციალური საცხოვრისი და 2. თუ რა პირობებით შესახლდნენ ბენეფიციარები. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის შესახებ სამეზობლოს შედარებით მეტი ინფორმაცია აქვს – წარმოდგენილ დებულებებს უმრავლესობა სწორად პასუხობს. თითოეულ დებულებაზე რესპონდენტთა დაახლოებით მსგავს რაოდენობას, მესამედს, გაუჭირდა პასუხის გაცემა. ოთხივე დებულებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი ინფორმაცია გორის სამეზობლოს მოსახლეობას აქვს, ხოლო ყველაზე ნაკლები – ბოლნისის მოსახლეობას. ერთადერთი საკითხი, რომელშიც ბოლნისს რუსთავი ჩამორჩება, ბინების საკუთრებაში გადაცემაა.

კითხვაზე „თქვენი აზრით, რა კატეგორიის ადამიანები ცხოვრობენ სოციალურ საცხოვრისში?“ პასუხები არაერთგვაროვანია, თუმცა ჩანს, რომ რესპონდენტებს გარკვეული ინფორმაცია აქვთ ბენეფიციარების შესახებ: გამოკითხულთა უმრავლესობა (33%) ფიქრობს, რომ აღნიშნული საცხოვრებელი სოციალურად დაუცველთათვისაა განკუთვნილი, 31.3% მიიჩნევს, რომ ის იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენდა, ხოლო 22.8% აღნიშნავს, რომ სახლში როგორც სოციალურად დაუცველები, ასე იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ.

VI. ზოგადი დამოკიდებულება სოციალური საცხოვრისის მიმართ

სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სოციალური საცხოვრისის არსებობას დადებითად აფასებს. ყველაზე მეტად ის რუსთავში მოსწონთ (84.7%), ხოლო მის მიმართ ყველაზე უარყოფითად გორის მაცხოვრებლები არიან განწყობილნი (16.7%) **(იხ. დიაგრამა #26)**:

დიაგრამა #26



აღსანიშნავია, რომ სოციალური სახლის აშენებას გორში, თბილისში, რუსთავსა და ბოლნისში მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები არ გამოუწვევია. არ შეცვლილა კრიმინოგენული სიტუაცია, ინფრასტრუქტურა, სანიტარული პირობები, სათემო/სამეზობლო თანაცხოვრება და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესი დასახლების მიმართ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიუთითებენ ბოლნისში, გორსა და თბილისში, ხოლო სანიტარული პირობების გაუმჯობესებაზე – მხოლოდ თბილისში **(იხ. დიაგრამა #27)**:

დიაგრამა #27



სოციალური საცხოვრისით ზოგად კმაყოფილებას გამოკითხულთა უმრავლესობა გამოხატავს, განსაკუთრებით ბოლნისსა და რუსთავში (ორივე ამ რეგიონში უკმაყოფილო რესპონდენტი საერთოდ არ არის). საკმაოდ მაღალია ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელიც, ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად თბილისში ფიქსირდება. უკმაყოფილოთა ხვედრითი წილი 8.9%–ს არ აღემატება, მათგან ყველაზე დიდი რაოდენობა გორშია კონცენტრირებული.

მცირე განსხვავებაა დევნილ და ადგილობრივ სოციალურად დაუცველთა კმაყოფილების ხარისხშიც, მაგალითად, როგორც უკმაყოფილოთა, ასე ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელი იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ სოციალურად

დაუცველებს შორის. კმაყოფილების საშუალო[3] მაჩვენებელი დადებითისკენაა გადახრილი – 3.74 (**იხ. დიაგრამა #28**):

დიაგრამა #28



საცხოვრისის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება გაიზომა მისი სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით: ადგილმდებარეობით, საერთო და კერძო სივრცეებით[4] (ბინები), შინაგანაწესითა და სოციალურ სახლში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით. ბენეფიციარები ჩამოთვლილთაგან ყველას, გარდა ბინებისა, დადებითად აფასებენ. ბინების (კერძო სივრცეების) მიმართ თითქმის ყოველ მეორეს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ეს უკანასკნელი გაცილებით ხშირი თბილისის ბენეფიციართა შორისაა, ხოლო მის მიმართ ყველაზე პოზიტიურად განწყობილნი რუსთავის ბენეფიციარები არიან. როგორც საერთო, ასე კერძო სივრცეს საცხოვრისში იძულებით გადაადგილებული პირები უფრო უარყოფითად აფასებენ, ვიდრე ადგილობრივები.

[3] საშუალო ახასიათებს ცვლადის მნიშვნელობათა განაწილების ცენტრალურ ტენდენციას. მათი მეშვეობით შესაძლებელია განვსაზღვროთ განაწილების ცენტრი, რომლის ირგვლივაც კონცენტრირდება ცვლადის ემპირიული მნიშვნელობები.

[4] **საერთო სივრცეში** მოიაზრება საერთო ოთახი, ეზო, საერთო აივნები, სარდაფი და სამრეცხაო ოთახი. **კერძო სივრცეში** მოიაზრება ბინები.

ჩამოთვლილთაგან შედარებით დადებითი შეფასება სოციალური სახლის ადგილმდებარეობას აქვს (საშუალო – 4.06, მოდა[5] – 4), რომელსაც ყველაზე უარყოფითად გორში აფასებენ, ხოლო ყველაზე უარყოფითი – პირად სივრცეს–ბინებს (მოდა – 4, საშუალო – 2.85). საერთო სივრცისა და სოციალური სახლის შინაგანაწესისადმი დამოკიდებულება, უმეტესად, ნეიტრალურია. მორიგე ოჯახის შესახებ არაფერი სმენია ბენეფიციართა თითქმის მეხუთედს. საერთო ჯამში, მისი შეფასება გაუჭირდა 60.5%–ს. დარჩენილთაგან უმრავლესობა მას დადებითად აფასებს (**იხ. დიაგრამა #29**):

დიაგრამა #29



ზოგადი განწყობა საერთო სივრცის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი მის მიმართ დადებითადაა განწყობილი. აღსანიშნავია, რომ საერთო სივრცეს ყველაზე უარყოფითად გორში აფასებენ, ხოლო

[5] მოდა ეწოდება ცვლადის იმ მნიშვნელობას, რომელიც მოცემულ განაწილებაში ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება (რომლის სიხშირეც ყველაზე მეტია).

ბოლნისში – ყველაზე დადებითად. საშუალოდ მის მიმართ ბენეფიციარებს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ (საშუალო – 3.28).

საერთო სივრცისა და პირადი სივრცის შეფასება მსგავსია, კერძოდ, საერთო სივრცით უკმაყოფილონი პირად სივრცესაც უარყოფითად აფასებენ. ის რესპონდენტები, რომლებიც საერთო სივრცეს უარყოფითად ან ნეიტრალურად აფასებენ, პირადი სივრცით უკმაყოფილებასაც გამოხატავენ (61.5% მათგან, ვინც უარყოფითადაა განწყობილი საერთო სივრცის მიმართ და 66.7% მათგან, ვინც ნეიტრალურადაა განწყობილი საერთო სივრცის მიმართ). ის რესპონდენტები კი, რომლებიც კმაყოფილნი არიან საერთო სივრცით, დადებითად აფასებენ პირად სივრცესაც (67.3%).

შინაგანაწესისადმი ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება თბილისის ბენეფიციარებს აქვთ, ხოლო ყველაზე დადებითი – ბოლნისში. სოციალურ საცხოვრისში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისადმი უარყოფითი განწყობით გორის საცხოვრისის ბენეფიციარები გამოირჩევიან, დადებითი განწყობით – ბოლნისის საცხოვრისის ბენეფიციარები.

შეჯამება

აღსანიშნავია, რომ სოციალური სახლის აშენებას გორში, თბილისში, რუსთავსა და ბოლნისში მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები არ გამოუწვევია. არ შეცვლილა კრიმინოგენული სიტუაცია, ინფრასტრუქტურა, სანიტარული პირობები, სათემო/სამეზობლო თანაცხოვრება და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესი დასახლების მიმართ.

სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სოციალური საცხოვრისის არსებობას დადებითად აფასებს. ყველაზე მეტად ის რუსთავში მოსწონთ (84.7%), ხოლო მის მიმართ ყველაზე უარყოფითად გორის მაცხოვრებლები არიან განწყობილნი (16.7%).

სოციალური საცხოვრისით კმაყოფილია ბენეფიციართა უმრავლესობაც, განსაკუთრებით ბოლნისსა და რუსთავში. თუმცა საკმაოდ მაღალია ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელიც, ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად

თბილისში ფიქსირდება. უკმაყოფილოთა ყველაზე დიდი რაოდენობა გორშია კონცენტრირებული.

ბენეფიციარები სოციალური სახლის ადგილმდებარეობას, საერთო სივრცეს, შინაგანაწესსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს დადებითად აფასებენ. მათგან ყველაზე დადებითი შეფასება სოციალური სახლის ადგილმდებარეობას აქვს, ხოლო საერთო სივრცისა და სოციალური სახლის შინაგანაწესისადმი დამოკიდებულება, უმეტესად, ნეიტრალურია. ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ ბინების მიმართ შეინიშნება.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სოციალური სახლის მიმართ უფრო პოზიტიურად განწყობილები ბოლნისისა და რუსთავის ბენეფიციარები არიან. კერძოდ, ყველაზე დადებითად საერთო სივრცეს, შინაგანაწესსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ბოლნისის, ხოლო ბინებს – რუსთავის ბენეფიციარები აფასებენ. შედარებით ნეგატიური დამოკიდებულება თბილისისა და გორის ბენეფიციარებს შორის შეინიშნება. მაგალითად, ყველაზე უარყოფითად საერთო სივრცეს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გორში, ხოლო შინაგანაწესს – თბილისში აფასებენ.

მცირე განსხვავებაა დევნილ და ადგილობრივ სოციალურად დაუცველთა კმაყოფილების ხარისხშიც, მაგალითად, როგორც სოციალური საცხოვრისით უკმაყოფილოთა, ასე ნეიტრალურად განწყობილთა პროცენტული მაჩვენებელი იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ სოციალურად დაუცველებს შორის. როგორც საერთო, ასე კერძო სივრცეებს (ბინებს) იძულებით გადაადგილებული პირები უფრო უარყოფითად აფასებენ, ვიდრე ადგილობრივები.

VII. სოციალური საცხოვრისის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა

ვარკეთილისა და ბოლნისის სოციალურ სახლებს მისამართები არ აქვთ, რაც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ბენეფიციართა მიერ სხვადასხვა სერვისებით სარგებლობაზე. ოთხივე ქალაქში სოციალური საცხოვრისების ირგვლივ არის მაღაზიები, ავტობუსის გაჩერება და სკოლები, თუმცა იშვიათად გვხვდება სათამაშო მოედნები, დასასვენებელი პარკები/სკვერები, საკოლმეურნეო ბაზრები და საავადმყოფოები/პოლიკლინიკები. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არცერთი სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ბავშვების სათამაშო მოედანი. საკოლმეურნეო ბაზარი მხოლოდ რუსთავშია, დასასვენებელი პარკი/სკვერი – მხოლოდ თბილისში, ხოლო საავადმყოფო – მხოლოდ ბოლნისში. აღმოჩნდა, რომ რუსთავის სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ნაკლები სერვისია: სურსათის მაღაზია, საკოლმეურნეო ბაზარი, გაჩერება და სკოლა, ყველაზე მეტი კი ვარკეთილის საცხოვრებელში, სადაც არ არის მხოლოდ საკოლმეურნეო ბაზარი, ბავშვების სათამაშო მოედანი და საავადმყოფო/პოლიკლინიკა **(იხ. დიაგრამა #30):**

დიაგრამა #30



თბილისის, გორისა და რუსთავის საცხოვრისის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ გზა, რომელიც სოციალურ საცხოვრისში შედის არც ფეხით მოსიარულეთათვის, არც მანქანით გადასაადგილებლად და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არ არის კომფორტული. ბენეფიციართა სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გზა მოხრეშილია, წვიმის დროს ტალახდება, მტვრიანია და საჭიროებს ასფალტს. საპირისპირო სურათია ბოლნისში, სადაც მოსახლეობა ფიქრობს, რომ გზა, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის და მანქანით გადასაადგილებლად, ასე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის კომფორტულია, თუმცა ასფალტის საჭიროებას ისინიც აღნიშნავენ. χვარედინი ანალიზისას გამოჩნდა, რომ მარტოხელა საპენსიო ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთაგან უმრავლესობა აფიქსირებს, რომ გზა არ არის კომფორტული ფეხით მოსიარულეთათვის (**იხ. დიაგრამა #31**):

დიაგრამა #31



მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე სოციალურ საცხოვრისში ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, გათბობა, კანალიზაცია და სავენტილაციო სისტემა გაყვანილია და ფუნქციონირებს, ბენეფიციარები მიუთითეთებენ ზოგიერთი მათგანის გაუმართავად მუშაობაზე. მაგალითად, ელექტროგაყვანილობის მუშაობით თბილისის ბენეფიციართა 7.6%–ია უკმაყოფილო. მათი აზრით, ძირითადი პრობლემები მრიცხველთან დაკავშირებით იქმნება. წყალგაყვანილობის მუშაობით უკმაყოფილოა თბილისის ბენეფიციართა 16.7%, ისინი ამბობენ, რომ წყალგაყვანილობა საცხოვრისში ხშირად და მალე ფუჭდება, სკდება მილები. გაზგაყვანილობის (გაზის) მუშაობით ყველა კმაყოფილია. გათბობის მუშაობით მხოლოდ გორში არიან უკმაყოფილონი. ისინი აღნიშნავენ, რომ გათბობა ცუდადაა დამონტაჟებული და დიდ დანახარჯს განაპირობებს. კანალიზაციის ცუდად მუშაობაზე მხოლოდ თბილისის სოციალურ საცხოვრისში მიუთითებენ, ისინი აღნიშნავენ რამდენიმე ძირითად პრობლემას, კერძოდ: ტრაპიდან ამოდის სუნი, ტრაპი არ არის გამართული, წყალი ჩადის მეზობელთან და ა.შ. სავენტილაციო სისტემაც გაუმართავად მხოლოდ თბილისის საცხოვრისში მუშაობს. ის ბენეფიციარები, რომლებიც ამაზე მიუთითებენ, აღნიშნავენ, რომ სავენტილაციო სისტემა საერთოდ არ ფუნქციონირებს (28%) **(იხ. დიაგრამა #32)**:

დიაგრამა #32



სოციალური საცხოვრისის ირგვლივ მდებარე კორპუსებში/სახლებში კი მოსახლეობა მიუთითებს ცივი წყლის, გაზის, კანალიზაციისა და ელექტროგაყვანილობის გამართულად მუშაობაზე. ამ უკანასკნელის გაუმართავობაზე ძირითადად ბოლნისელები საუბრობენ, სადაც გამოკითხულთაგან ყოველ მეოთხეს ელექტროენერგია დავალიანების გამო აქვს გამორთული. ბოლნისელებს გრაფიკით მიეწოდებათ ცივი წყალიცა და ცხელი წყალიც. გრაფიკის არსებობას რუსთავის მოსახლეობაც აღნიშნავს. ზოგადად, ცხელი წყლით გამოკითხულთა მესამედის ბინა არ მარაგდება. კანალიზაცია გამართულად გამოკითხულთა მხოლოდ 69.2%–ის ბინაში მუშაობს. მისი გაუმართავობის მიზეზად ბენეფიციარები ყველაზე ხშირად ასახელებენ შემდეგ მიზეზებს: გამოსაცვლელია, გაფუჭებულია. ცხელი წყლის, კანალიზაციის და გაზის მომარაგების პრობლემებზე გორის მოსახლეობაც საუბრობს. სავენტილაციო სისტემა გამოკითხულთა ნახევრის ბინებში არ არის, გამართულად კი მხოლოდ 39.5% შემთხვევაში მუშაობს. მიზეზად სახელდება ის, რომ სავენტილაციო სისტემა გასაწმენდია (**იხ. დიაგრამა #33**):

დიაგრამა #33



შეჯამება

ვარკეთილისა და ბოლნისის სოციალურ სახლებს მისამართები არ აქვთ, რაც, შესაძლოა, განაპირობებდეს პრობლემებს ბენეფიციართა მიერ სხვადასხვა სერვისებით სარგებლობაში.

ოთხივე ქალაქში სოციალური საცხოვრისების ირგვლივ არის მაღაზიები, ავტობუსის გაჩერება და სკოლები, თუმცა იშვიათად გვხვდება სათამაშო მოედნები, დასასვენებელი პარკები/სკვერები, საკოლმეურნეო ბაზრები და საავადმყოფოები/პოლიკლინიკები. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არცერთი სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ბავშვების სათამაშო მოედანი. საკოლმეურნეო ბაზარი მხოლოდ რუსთავშია, დასასვენებელი პარკი/სკვერი – მხოლოდ თბილისში, ხოლო საავადმყოფო – მხოლოდ ბოლნისში. აღმოჩნდა, რომ რუსთავის სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ნაკლები სერვისია: სურსათის მაღაზია, საკოლმეურნეო ბაზარი, გაჩერება და სკოლა, ყველაზე მეტი კი ვარკეთილის საცხოვრებელში, სადაც არ არის მხოლოდ საკოლმეურნეო ბაზარი, ბავშვების სათამაშო მოედანი და საავადმყოფო/პოლიკლინიკა.

თბილისის, გორისა და რუსთავის საცხოვრისის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ გზა, რომელიც სოციალურ საცხოვრისში შედის არც ფეხით მოსიარულეთათვის, არც მანქანით გადასაადგილებლად და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არ არის კომფორტული. ჯვარედინი ანალიზისას გამოჩნდა, რომ მარტოხელა საპენსიო ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთაგან უმრავლესობა აფიქსირებს, რომ გზა არ არის კომფორტული ფეხით მოსიარულეთათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე სოციალურ საცხოვრისში ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, გათბობა, კანალიზაცია და სავენტილაციო სისტემა გაყვანილია და ფუნქციონირებს, ბენეფიციარები მიუთითეთებენ ზოგიერთი მათგანის გაუმართავად მუშაობაზე. მაგალითად, ელექტროგაყვანილობის მუშაობით თბილისის ბენეფიციართა 7.6%–ია უკმაყოფილო, წყალგაყვანილობის მუშაობით უკმაყოფილოა თბილისის ბენეფიციართა 16.7%, კანალიზაციისა და სავენტილაციო სისტემის ცუდად მუშაობაზეც მხოლოდ თბილისის სოციალურ საცხოვრისში მიუთითებენ, ხოლო გათბობის მუშაობით მხოლოდ გორში არიან უკმაყოფილონი.

მონაცემებიდან ჩანს, რომ სამეზობლოს შედარებით მეტი პრობლემა ექმნება წყლით, ელექტროენერგიით და სხვა გაყვანილობებით სარგებლობისას. ცხელი წყლით გამოკითხულთა მესამედის ბინა არ მარაგდება. სავენტილაციო სისტემა გამოკითხულთა ნახევრის ბინებში არ არის, გამართულად კი მხოლოდ 39.5%–ის შემთხვევაში მუშაობს. ბოლნისელებს გრაფიკით მიეწოდებათ ცივი წყალიცა და ცხელი წყალიც. გრაფიკის არსებობას რუსთავის მოსახლეობაც აღნიშნავს. სავენტილაციო სისტემა გამოკითხულთა ნახევრის ბინებში არ არის, გამართულად კი მხოლოდ 39.5% შემთხვევაში მუშაობს.

VIII. ბენეფიციართა დამოკიდებულება საცხოვრისის ექსტერიერისა და ინტერიერის მიმართ

საცხოვრისის ექსტერიერის მიმართ როგორც ბენეფიციარებს, ასე ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს: ბენეფიციართა 86.8%–ს მოსწონს საცხოვრისის ფასადი. ამ უკანასკნელით რუსთავის საცხოვრებლის ყველა ბენეფიციარი კმაყოფილია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ბენეფიციართაგან არცერთი აფასებს ექსტერიერს ნეგატიურად. მისი შეფასება ყველაზე მეტად გორის საცხოვრისის ბენეფიციარებს უჭირთ (26.3%) **(იხ. დიაგრამა #34):**

დიაგრამა #34



ექსტერიერის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ საცხოვრისის ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაგან 41.3% მიიჩნევს, რომ საცხოვრისი შეესაბამება მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახეს. საკმაოდ დაბალია მათი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც საპირისპირო პასუხს აფიქსირებს. პოზიციები განსხვავდება ქალაქების მიხედვითაც. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, გორისა და რუსთავის სოციალური საცხოვრისის სამეზობლოები ყველაზე კმაყოფილნი არიან საცხოვრისის ექსტერიერისა და საცხოვრებელი გარემოს იერსახის

ურთიერთმიმართებით. შედარებით ნეგატიურად თბილისის საცხოვრისის ირგვლივ მცხოვრები ადამიანები არიან. მათგან მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ სოციალური საცხოვრისის შენობა მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახეს არ შეესაბამება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების მსგავსი მაჩვენებელი აქვთ თბილისსა და გორის მაცხოვრებლებს, ხოლო ბოლნისში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის 29%–ს უჭირს ამ თემაზე აზრის დაფიქსირება (**იხ. დიაგრამა #35**):

დიაგრამა #35



იმ რესპოდენტთაგან ნახევარზე მეტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოციალური საცხოვრისის ექსტერიერი არარელევანტურია მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახესთან, ფიქრობს, რომ ასეთი ტიპის საცხოვრებლები არ უნდა შენდებოდეს ქალაქის მჭიდრო დასახლებაში. სწორედ ამ მიზეზს ასახელებს თბილისის საცხოვრისის მიმდებარე კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა (57.3%). გორში, მაგალითად, მხოლოდ ერთ პასუხს აფიქსირებენ – ფიქრობენ, რომ

სოციალური საცხოვრისის ზომა (სართულიანობა) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებს/სახლებს არ უხდება. ბოლნისში იერსახესთან შეუსაბამობის ორი მიზეზი სახელდება (შენობის ფასადი არ უხდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების/სახლების ფასადს და სოციალური საცხოვრისის ფორმატი (პატარა კორპუსების მცირე დასახლება) არ უხდება საერთო კონტექსტს), რომელთა შორისაც სიხშირეთა პროცენტული გადანაწილება მსგავსია. აღსანიშნავია, რომ რუსთავში 10.5% ფიქრობს, რომ საცხოვრისების ექსტერიერი სჯობს მათი საცხოვრებელი კორპუსების/სახლების ფასადს **(იხ. დიაგრამა #36)**:

დიაგრამა #36



საერთო ჯამში, გამოკითხულთა უმრავლესობას საცხოვრისის ეზო არ მოსწონს. ყველაზე უკმაყოფილონი გორის და თბილისის საცხოვრისის ბენეფიციარები არიან, ხოლო ყველაზე კმაყოფილნი – ბოლნისის საცხოვრისის ბენეფიციარები **(იხ. დიაგრამა #37)**:

დიაგრამა #37



ძირითადად, ბენეფიციარებს ეზო რამდენიმე მიზეზით არ მოსწონთ. ყველაზე ხშირად ისინი ეზოს მოუწესრიგებლობაზე მიუთითებენ, ასევე აღნიშნავენ, რომ ის ბავშვებისთვის სათამაშოდ არ გამოდგება ან არ არის საკმარისად გამწვანებული (**იხ. დიაგრამა #38**):

დიაგრამა #38



გამოკითხულთა მესამედი მიიჩნევს, რომ ეზოში უნდა იყოს საბავშვო მოედანი და საქანელები, მესამედი ფიქრობს, რომ ეზოში უნდა იყოს ბევრი მცენარე, ბენეფიციართა 27.2%–ის აზრით კი ეზოში უნდა იყოს მაგიდა და სკამები საერთო შეკრებებისთვის (**იხ. დიაგრამა #39**):

დიაგრამა #39



ბენეფიციარები ფიქრობენ, რომ სოციალური საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობაზე, პირველ რიგში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. მხოლოდ 15.1% ამბობს, რომ ეზოს კეთილმოწყობაზე პასუხისმგებელი სოციალური საცხოვრისის მოსახლეობაა. აღსანიშნავია, რომ რუსთავისა და ბოლნისის საცხოვრისებში მოსახლეობა უფრო მეტად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ სოციალური საცხოვრისის მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უნდა იზრუნოს ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე თბილისსა და გორში, მეტიც, გორში არცერთმა რესპონდენტმა აღნიშნული პასუხი არ აირჩია. გარდა ამისა, ადგილობრივი სოციალურად დაუცველები მეტად გამოხატავენ

სურვილს, რომ თავად იზრუნონ ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე იძულებით გადაადგილებული პირები (**იხ. დიაგრამა #40**):

დიაგრამა #40



ბენეფიციართა ნახევარს აკმაყოფილებს, რომელ სართულზეც ცხოვრობენ, დანარჩენთაგან უმრავლესობას მეორე სართულზე ცხოვრება სურს. ამის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა. უმრავლესობას სართულის შეცვლა მწერების, ნესტის ან ხმაურის გამო სურს. დიდია აივნის მსურველთა ხვედრითი წილიც. როგორც აღმოჩნდა, რუსთავში ყველაზე მეტად მოსახლეობას მწერები ან ნესტი აწუხებს, გორში – აივნის და ფანჯრებზე გისოსების არარსებობა. თბილისში ძირითად მიზეზად ხმაურს ან ნესტს ასახელებენ. ბოლნისში სართულით კმაყოფილების ხარისხი ყველაზე მაღალია, თბილისში – ყველაზე დაბალი. გორში მაცხოვრებელთა 10.5% ამბობს, რომ მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სართულზე იცხოვრებენ (**იხ. დიაგრამა #41**):

დიაგრამა #41



სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიერ საკუთარი ბინის ფართის შეფასებისას მათი პასუხების რამდენიმე ჯგუფი გამოიყო – 11–17, 18–24, 25–30, 35–45, 45–55, 55 და მეტი კვ. მ. ფართობის ბინის მქონენი. გამოკითხულთაგან 4.4% ამბობს, რომ 18 კვადრატულზე ნაკლები ფართის ბინა აქვს. 27.2% პასუხობს, რომ მისი ბინა 18–24 კვ.მ–ა. ამდენივე ამბობს, რომ 25–30 კვ.მ. ბინაში ცხოვრობენ. 35–45 კვადრატული მეტრი მათ 14%–ს, ხოლო 45 კვ.მ.–ზე მეტი ფართი მხოლოდ 4.4%–ს აქვს. ბინის კვადრატულობის საშუალო მაჩვენებელი 27.6–ა (სტანდარტული გადახრით 9.967), მედიანა – 25.00, ხოლო მოდა – 20 კვადრატული მეტრი. ერთ სულზე ბინის საშუალო კვადრატულობა 7.2–ია **(იხ. დიაგრამა #42)**:

დიაგრამა #42



ბენეფიციართა მცირე ნაწილი კმაყოფილია ბინის ფართით (16.7%). დანარჩენთაგან 9.1% ფიქრობს, რომ რომ 30–49 კვადრატული ბინა იქნებოდა მისთვის საკმარისი. 100–150 კვადრატული მეტრი სჭირდება გამოკითხულთა მხოლოდ 8%–ს. მაშ, საშუალო კვადრატულობა, რასაც ოჯახები ითხოვენ, არის 64 კვადრატული მეტრი. სასურველსა და არსებულ ბინის ფართებს შორის სხვაობა 36.4–ია. ლოგიკურად, რაც უფრო დიდია ოჯახის ზომა, მით მეტ ფართს მოითხოვენ ისინი.

სოციალური საცხოვრისის ირგვლივ არსებულ კორპუსებში ბინების ფართის საშუალო მაჩვენებელი 68.42 კვადრატული მეტრია. აღსანიშნავია, რომ გორში ბინების ზომა ყველაზე მცირეა, საშუალოდ 35.22 კვ.მ, ხოლო ბოლნისში ყველაზე დიდი – საშუალოდ 99.04. მაშ, ირგვლივ მდებარე კორპუსების მოსახლეობას ბენეფიციარებზე, საშუალოდ, ორნახევარჯერ დიდი ბინები აქვთ. ის, რაც ბენეფიციართათვის სასურველი ფართია (საშუალოდ 64), სამეზობლოს მოსახლეობისთვის რეალური, არსებული ფართია (საშუალოდ 68.42).

სამეზობლოს მაცხოვრებლები საშუალოდ 99.01 კვადრატული მეტრის ფართის ბინას ისურვებდნენ. სასურველი ფართის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მცირე გორშია – 72.67, ხოლო ყველაზე დიდი ბოლნისში – 154. 77. სასურველსა და არსებულს შორის სხვაობა 30 კვადრატული მეტრია.

როგორც აღმოჩნდა, სოციალური საცხოვრისის ბინებში ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ბენეფიციარები ბინაში თავს ვიწროდ გრძნობენ. მეორე ძირითად პრობლემად სახელდება ცუდი ხმაიზოლაცია. ნახევარზე მეტი ასევე პრობლემად მიიჩნევს ოთახების თხელ კედლებს, რომლებიც სიმყუდროვეს ვერ იცავენ. ბინაში პრობლემა არ ექმნება რუსთავის მოსახლეობის 35.7%–ს. აქ მხოლოდ სამი ძირითადი პრობლემა დაფიქსირდა – ცუდი ხმაიზოლაცია (ნახევარზე მეტი), ოთახის თხელი კედლები და არასაკმარისი ფართი. მსგავსი პრობლემებია ბოლნისშიც. გორში, როგორც აღმოჩნდა, არცერთი მაცხოვრებელი არ არის ისეთი, ვისაც ბინაში პრობლემა არ ექმნება. გამოკითხულთაგან ყველა მიუთითებს სივიწროვეზე. უმრავლესობა მიუთითებს ცუდ ხმაიზოლაციაზე, თითქმის ნახევარი აღნიშნავს ნესტიანობის პრობლემასაც. თბილისში გაცილებით მეტი პრობლემა აღინიშნა. ბინის არასაკმარისი ფართი, ოთახებს შორის თხელი კედლების არსებობა და ცუდი ხმაიზოლაცია თბილისელ ბენეფიციარებს ყველაზე მეტად აწუხებთ. არანაკლები რაოდენობა ამბობს, რომ ბინებში რემონტი მალე გაფუჭდა – კედლები გაიბზარა და იატაკი აიყარა. აღნიშნული პრობლემები თანაბრად აწუხებთ ადგილობრივებსაც და დევნილებსაც. თუმცა დევნილებს უფრო აწუხებთ სივიწროვე, ბინის გათბობასთან დაკავშირებული პრობლემები, ხმაიზოლაცია და აბაზანის არაკომფორტულობა **(იხ. დიაგრამა #43)**:

დიაგრამა #43



სოციალური საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში/ბინებში მცხოვრები მოსახლეობის ბინების 79.6% მათი საკუთრებაა. მონაცემები ქალაქების მიხედვით ვარირებს, კერძოდ გორში საკუთარ ბინაში ცხოვრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (67.2%), ხოლო ბოლნისში – ყველაზე მაღალი (85.6%). აღსანიშნავია, რომ ბინასთან დაკავშირებით პრობლემები გამოკითხულთა მხოლოდ 12.5%–ს არ ექმნება. დანარჩენები კი რამდენიმე ძირითად პრობლემას ასახელებენ, კერძოდ: მათ ბინაში არ არის საკმარისი ფართი, ბინა სარემონტოა, ბინაში ინესტება და ობდება კედლები, ბინებიდან იოლად გადის ხმა გარეთ, ბინა რთულად ინარჩუნებს სითბოს, აბაზანა მოუწყობელია, ოთახების კედლები თხელია და ვერ იცავს სიმყუდროვეს. **(იხ. დიაგრამა #44):**

დიაგრამა #44



ბენეფიციართა თითქმის მეოთხედი კმაყოფილია იმ ნივთებით, რაც ბინაში დახვდათ. დანარჩენები ყველაზე მეტად სარეცხი მანქანის და ტელევიზორის საჭიროებას უსვამენ ხაზს. გორში ყველა ოჯახმა ისურვა, ბინაში დახვედროდა ტელევიზორი, თითქმის ყველამ – ჭურჭელი, ნივთები საჭმლის მოსამზადებლად და სარეცხი მანქანა. თბილისში ყველაზე მაღალი მოთხოვნა სარეცხ მანქანაზე და ტელევიზორზეა. მნიშვნელოვანია, რომ დევნილები მეტად მოითხოვენ სარეცხ მანქანას და ტელევიზორს, ვიდრე ადგილობრივები (**იხ. დიაგრამა #45**):

დიაგრამა #45



რაც შეეხება სატელეკომუნიკაციო სისტემას, ტელევიზორი სოციალური საცხოვრისების ბენეფიციართა უმრავლესობას აქვს, ტელეფონი – ნახევარს, ინტერნეტი – მხოლოდ მეხუთედს. თბილისში მოსახლეობის უმრავლესობას აქვს ტელეფონიც და ტელევიზიაც, ხოლო ინტერნეტი – მხოლოდ მესამედს. რუსთავსა და ბოლნისში სატელეკომუნიკაციო სისტემა ჯერ არცერთ მოსახლეს გაუყვანია, თუმცა მათი ნაწილი აპირებს გაიყვანოს. გორში ტელევიზორი ყველა მოსახლეს აქვს, ინტერნეტი – არცერთს, ტელეფონი –36.8%–ს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უმრავლესობას არც ტელეფონი (84.6%), არც ტელევიზორი (76.9%) და არც ინტერნეტი აქვთ (76.9%). მსგავსი მდგომარეობაა ინსტიტუციაგამოვლილ პირებს შორისაც. რასაკვირველია, მათ, ვინც არ იხდის კომუნალურ გადასახადებს, აქვთ დავალიანება, ან ვისი სარეიტინგო ქულაც 30 000–ზე ნაკლებია, უმეტეს შემთხვევებში, ზემოთ აღნიშნული ნივთები არ მოეპოვებათ **(იხ. დიაგრამა #46):**

დიაგრამა #46



სოციალური სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში/სახლებში ამ კუთხითაც მსგავსი სიტუაციაა. მოსახლეობის უმრავლესობას ბინებში ტელევიზორი, აუცილებელი ავეჯი, სამზარეულოს აუცილებელი ნივთები, მაცივარი და გაზქურა აქვთ. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან ტელევიზორს იმდენი ადამიანი ფლობს, რამდენიც აუცილებელ ავეჯსა და სამზარეულოს აუცილებელ ნივთებს. ტელევიზორით, აუცილებელი ავეჯით, სამზარეულოს აუცილებელი ნივთებითა და მაცივრით ძირითადად ოთხივე ქალაქის მოსახლეობა უზრუნველყოფილია **(იხ. დიაგრამა #47):**

დიაგრამა #47



შეჯამება

საცხოვრისის ექსტერიერის მიმართ როგორც ბენეფიციარებს, ასე ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. ბენეფიციართა 86.8%–ს მოსწონს

საცხოვრისის ფასადი. ამ უკანასკნელით რუსთავის საცხოვრებლის ყველა ბენეფიციარი კმაყოფილია.

ექსტერიერის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ საცხოვრისის ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაგან 41.3% მიიჩნევს, რომ საცხოვრისი შეესაბამება მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახეს. გორისა და რუსთავის სოციალური საცხოვრისის სამეზობლოები ყველაზე კმაყოფილნი არიან საცხოვრისის ექსტერიერისა და საცხოვრებელი გარემოს იერსახის ურთიერთმიმართებით. იმ რესპოდენტთაგან ნახევარზე მეტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოციალური საცხოვრისის ექსტერიერი არარელევანტურია მათი საცხოვრებელი გარემოს იერსახესთან, ფიქრობს, რომ ასეთი ტიპის საცხოვრებლები არ უნდა შენდებოდეს ქალაქის მჭიდრო დასახლებაში. სწორედ ამ მიზეზს ასახელებს თბილისის საცხოვრისის მიმდებარე კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა (57.3%). გორში მხოლოდ ერთ პასუხს აფიქსირებენ – ფიქრობენ, რომ სოციალური საცხოვრისის ზომა (სართულიანობა) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებს/სახლებს არ უხდება. ბოლნისში იერსახესთან შეუსაბამობის ორი მიზეზი სახელდება (შენობის ფასადი არ უხდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების/სახლების ფასადს და სოციალური საცხოვრისის ფორმატი (პატარა კორპუსების მცირე დასახლება) არ უხდება საერთო კონტექსტს). რუსთავში კი 10.5% ფიქრობს, რომ საცხოვრისების ექსტერიერი სჯობს მათი საცხოვრებელი კორპუსების/სახლების ფასადს.

ბენეფიციარები ფიქრობენ, რომ სოციალური საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობაზე, პირველ რიგში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. რუსთავისა და ბოლნისის საცხოვრისებში მოსახლეობა უფრო მეტად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ სოციალური საცხოვრისის მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უნდა იზრუნოს ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე თბილისსა და გორში. მეტიც, გორში არცერთმა რესპონდენტმა აღნიშნული პასუხი არ აირჩია. გარდა ამისა, ადგილობრივი სოციალურად დაუცველები მეტად გამოხატავენ სურვილს, რომ თავად იზრუნონ ეზოს კეთილმოწყობაზე, ვიდრე იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური სახლების ბინის კვადრატულობის საშუალო მაჩვენებელი (ბენეფიციართა პასუხების მიხედვით) 27.6–ა, ერთ სულზე ბინის საშუალო კვადრატულობა 7.2–ია. სასურველი საშუალო კვადრატულობა კი 64 კვადრატული მეტრია. სასურველსა და არსებულ ბინის ფართებს შორის სხვაობა 36.4–ია.

სოციალური საცხოვრისის ირგვლივ არსებულ კორპუსებში ბინების ფართის საშუალო მაჩვენებელი 68.42 კვადრატული მეტრია, ხოლო სასურველი – 99.01. მაშ, ირგვლივ მდებარე კორპუსების მოსახლეობას ბენეფიციარებზე, საშუალოდ, ორნახევარჯერ დიდი ბინები აქვთ. ის, რაც ბენეფიციართათვის სასურველი ფართია (საშუალოდ 64), სამეზობლოს მოსახლეობისთვის რეალური, არსებული ფართია (საშუალოდ 68.42).

როგორც აღმოჩნდა, სოციალური საცხოვრისის ბინებში ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ბენეფიციარები ბინაში თავს ვიწროდ გრძნობენ. მეორე ძირითად პრობლემად სახელდება ცუდი ხმაიზოლაცია. ნახევარზე მეტი ასევე პრობლემად მიიჩნევს ოთახების თხელ კედლებს, რომლებიც სიმყუდროვეს ვერ იცავენ. სამეზობლოს გამოკითხვისას კი გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, კერძოდ: მათ ბინაში არ არის საკმარისი ფართი, ბინა სარემონტოა, ბინაში ინესტება და ობდება კედლები, ბინებიდან იოლად გადის ხმა გარეთ, ბინა რთულად ინარჩუნებს სითბოს, აბაზანა მოუწყობელია, ოთახების კედლები თხელია და ვერ იცავს სიმყუდროვეს. როგორც აღმოჩნდა, სამეზობლოს და ბენეფიციართა პრობლემები მსგავსია. მეტიც, სამეზობლოს მოსახლეობა უფრო მეტ პრობლემას ჩამოთვლის, ვიდრე ბენეფიციარები.

ბენეფიციართა თითქმის მეოთხედი კმაყოფილია იმ ნივთებით, რაც ბინაში დახვდათ. დანარჩენები ყველაზე მეტად სარეცხი მანქანის და ტელევიზორის საჭიროებას უსვამენ ხაზს. გორში ყველა ოჯახმა ისურვა, ბინაში დახვედროდა ტელევიზორი, სრულმა უმრავლესობამ – ჭურჭელი, ნივთები საჭმლის მოსამზადებლად და სარეცხი მანქანა. სოციალური სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში/სახლებში ამ კუთხითაც მსგავსი სიტუაციაა. მოსახლეობის უმრავლესობას ბინებში ტელევიზორი, აუცილებელი ავეჯი, სამზარეულოს აუცილებელი ნივთები, მაცივარი და გაზქურა აქვთ.

რაც შეეხება სატელეკომუნიკაციო სისტემას, ტელევიზორი სოციალური საცხოვრისების ბენეფიციართა უმრავლესობას აქვს, ტელეფონი – ნახევარს, ინტერნეტი – მხოლოდ მეხუთედს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უმრავლესობას არც ტელეფონი (84.6%), არც ტელევიზორი (76.9%) და არც ინტერნეტი აქვთ (76.9%). მსგავსი მდგომარეობაა ინსტიტუციაგამოვლილ პირებს შორისაც.

IX. საერთო ფართი და ნივთები; კომუნალური გადასახადები

საერთო სასტუმრო ოთახი ბენეფიციარებს არც ბოლნისსა და არც რუსთავში არ აქვთ. აქვთ მხოლოდ გორში და თბილისში, სადაც ეს ოთახი არ ფუნქციონირებს. იმ ბენეფიციართაგან, რომლებსაც არ აქვთ სასტუმრო ოთახი, ნახევარზე მეტი (52.9%) ისურვებდა, რომ ჰქონოდა. საერთო ოთახის არსებობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ბენეფიციართა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი სამივე ქალაქში. შესაძლოა, ეს ტენდენცია მიუთითებდეს იმაზე, რომ ბენეფიციარებს საერთო სივრცის, საერთო ოთახის გამოხატული საჭიროება არ აქვთ **(იხ. დიაგრამა #48):**

დიაგრამა #48



გამოვლინდა, რომ ბენეფიციარები ისურვებდნენ საერთო ოთახი იყოს ბავშვებისთვის შესაბამისად აღჭურვილი, იმართებოდეს ღონისძიებები და ოთახში იყოს კარგი ბიბლიოთეკა. საერთო ოთახს ბენეფიციართა უმრავლესობა არასდროს იყენებდა, თუმცა თუ იყენებდნენ, ძირითადად, პრობლემების განსახილველად ან

საინფორმაციო შეხვედრებისთვის. მეზობლებთან ურთიერთობისთვის მას ძალიან ცოტა ბენეფიციარი იყენებდა (**იხ. დიაგრამა #49**):

დიაგრამა #49



საერთო აივნებს ბენეფიციართა თითქმის ნახევარი არასდროს იყენებს. გორში და თბილისში საერთო აივნებს უფრო ნაკლებად იყენებენ, ვიდრე ბოლნისსა და რუსთავში. ბოლნისში საერთო აივნების გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (**იხ. დიაგრამა #50**):

დიაგრამა #50



ვინც არ მოიხმარს საერთო აივნებს, ამის მიზეზად აივნის ზომას და მის მოუხერხებლობას ასახელებენ. ნაწილი კი აივნებს იმის გამო არ გამოიყენებენ, რომ პირველ სართულზე ცხოვრობენ. **(იხ. დიაგრამა #51):**

დიაგრამა #51



საერთო სამრეცხაოს/სარეცხ მანქანებს ბენეფიციართა თითქმის ნახევარი არასდროს იყენებს. ხშირად მხოლოდ 32.5% გამოიყენებს მას. ყველაზე ხშირად საერთო სამრეცხაოებს ბოლნისელები გამოიყენებენ (**იხ. დიაგრამა #52**):

დიაგრამა #52



საერთო სამრეცხაო ოთახების გამოყენება დამოკიდებულია ოჯახის ზომაზე. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო ნაკლები წევრია ოჯახში, მით ნაკლებად იყენებენ ისინი საერთო სამრეცხაოს და პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარები სამრეცხაოს იშვიათად გამოიყენებენ, ისინი მაინც საუბრობენ მის საჭიროებაზე (**იხ. დიაგრამა #53**):

დიაგრამა #53



***

ცენტრალურ გათბობას რუსთავსა და ბოლნისში არავინ იყენებს (ჯერ არ დასჭირვებიათ), გორში ძირითადი ნაწილი არ იყენებს, ხოლო თბილისში სრული უმრავლესობა იყენებს (**იხ. დიაგრამა #54**):

დიაგრამა #54



ცენტრალური გათბობის არგამოყენების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ გათბობა ძვირი ჯდება. ხოლო რუსთავში და ბოლნისში ჯერ არ დასჭირვებიათ (ახალი გადასულები არიან). გორში ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ცენტრალური გათბობა არასწორადაა დამონტაჟებული და ამის გამო ძვირი ჯდება **(იხ. დიაგრამა #55):**

დიაგრამა #55



მათგან, ვინც არ იყენებს ცენტრალურ გათბობას, უმრავლესობა (გორში) ინდივიდუალური დენის გამათბობლით თბება. რამდენიმე რესპონდენტი – ინდივიდუალური გაზის გამათბობლით (4). მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისში რამდენიმე რესპონენტი საერთოდ არ ათბობს ბინას (2) **(იხ. დიაგრამა #56):**

დიაგრამა #56



სამეზობლოს მონაცემები განსხვავდება ბენეფიციართა მონაცემებისგან. მაგალითად, სამეზობლოს მაცხოვრებელთაგან ცენტრალური გათბობით მხოლოდ 6.4% სარგებლობს. ისინი ძირითადად გაზის გამათბობელს იყენებენ **(იხ. დიაგრამა #57):**

დიაგრამა #57



კომუნალურ გადასახადებში საშუალოდ ბენეფიციარები 60 ლარს იხდიან, ხოლო სამეზობლოს მოსახლეობა – 85.2 ლარს. ბენეფიციართაგან გადასახადებს არ იხდიან და დავალიანება აქვთ ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (35.7%) ან მარტოხელა მშობლებს, რომლებიც კიდევ ერთ ოჯახის წევრთან ერთად ცხოვრობენ (42.9%) **(იხ. დიაგრამა #58)**:

დიაგრამა #58


რამდენ ლარს იხდით თვეში საშუალოდ კომუნალურ გადასახადებში? (საშუალო)
სამეზობლო
110.3
87.8
41.8
58.3
85.2
ბენეფიციარები
55.7
72.9
60
თბილისი
რუსთავი
გორი
ბოლნისი
სულ

შეჯამება

საერთო ოთახის არსებობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ბენეფიციართა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი სამივე ქალაქში. შესაძლოა, ეს ტენდენცია მიუთითებდეს იმაზე, რომ ბენეფიციარებს საერთო სივრცის, საერთო ოთახის გამოხატული საჭიროება არ აქვთ.

გამოვლინდა, რომ ბენეფიციარები ისურვებდნენ საერთო ოთახი იყოს ბავშვებისთვის შესაბამისად აღჭურვილი, იმართებოდეს ღონისძიებები და ოთახში იყოს კარგი ბიბლიოთეკა. საერთო ოთახს ბენეფიციართა უმრავლესობა არასდროს იყენებდა, თუმცა თუ იყენებდნენ, ძირითადად, პრობლემების განსახილველად ან საინფორმაციო შეხვედრებისთვის.

საერთო აივნებს, სარდაფის სათავსოებს და სამრეცხაოებს ბენეფიციართა უმრავლესობა იშვიათად ან არასდროს იყენებს. ვინც არ მოიხმარს საერთო აივნებს, ამის მიზეზად აივნის ზომას და მის მოუხერხებლობას ასახელებს. საერთო სამრეცხაოს/სარეცხ მანქანებს ბენეფიციართა თითქმის ნახევარი არასდროს იყენებს. ხშირად მხოლოდ 32.5% გამოიყენებს მას. ყველაზე ხშირად საერთო სამრეცხაოებს ბოლნისელები გამოიყენებენ (86.7%).

ცენტრალურ გათბობას თბილისსა და გორში (რუსთავსა და ბოლნისში ჯერ არ დასჭირვებიათ) უმეტესად იყენებენ. ისინი კომუნალურ გადასახადებში საშუალოდ 60 ლარს იხდიან, რაც მცირედ ჩამოუვარდება სამეზობლოს მიერ გადახდილ თანხას (85.2%)

X. ბენეფიციართა დამოკიდებულება სოციალურ საცხოვრისში არსებული სოციალური სერვისების მიმართ

სოციალურ საცხოვრისებში რამდენიმე სერვისი ფუნქციონირებს. მათ ჰყავთ სოციალური მუშაკი, სოციალური საცხოვრისის საბჭო და ხელოსანი (თბილისში). მათ მიმართ ბენეფიციარების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

თბილისის სოციალურ საცხოვრისში ხელოსანს გაყვანილობის დაზიანების ან კავშირგაბმულობის ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში მისი შეკეთება ევალება. თბილისის ბენეფიციართა სრული უმრავლესობა მიუთითებს მის საჭიროებაზე (90.9%) **(იხ. დიაგრამა #59)**:

დიაგრამა #59



ბენეფიციართა 15.2% თავად აკეთებს დაზიანებულ სისტემას, ხოლო მათი ხვედრითი წილი, ვინც სპეციალურ სამსახურს უკავშირდება, საკმაოდ დაბალია. რუსთავისა და ბოლნისის მოსახლეობა აღნიშნავს, რომ საკომუნიკაციო სისტემის დაზიანების შემთხვევაში ადგილობრივ თვითმმართველობას უკავშირდებიან. გორის

ბენეფიციართა თქმით, ისინი თავად აკეთებენ დაზიანებულ სისტემას, გორში მოსახლეობის სრულ უმრავლესობას (94.7%) სჭირდება ხელოსანი. ბოლნისისა და რუსთავის ბენეფიციართა უმრავლესობაც ხელოსნის საჭიროებაზე მიუთითებს **(იხ. დიაგრამა #60)**:

დიაგრამა #60



სოციალური მუშაკის მუშაობას სოციალური საცხოვრისის ძირითადი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა რეგიონების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. მაგალითად, რუსთავსა და ბოლნისში ბენეფიციართა სრული უმრავლესობა სოციალური მუშაკის როლსა და ფუნქციებს დადებითად აფასებს, ხოლო გორში – პირიქით, 94.8% სოციალური მუშაკის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი **(იხ. დიაგრამა #61)**:

დიაგრამა #61



ბენეფიციართა მეხუთედი ფიქრობს, რომ სოციალური მუშაკი მათ სამართლებრივი საკითხების მოგვარებასა და დოკუმენტაციის მოწესრიგებაში ეხმარება. ნაწილი ამბობს, რომ სოციალური მუშაკი სხვადასხვა საკითხზე საინფორმაციო შეხვედრებს მართავს. 12.3% მიუთითებს, რომ სოციალური მუშაკი არ ასრულებს ჩამოთვლილ ფუნქციებს, აღნიშნული ვარიანტი განსაკუთრებით ხშირად დაფიქსირდა გორში (63.2%). რუსთავში კი ასეთი პასუხი საერთოდ არ დაფიქსირებულა **(იხ. დიაგრამა #62)**:

დიაგრამა #62



ბენეფიციართა უმრავლესობას პასუხის გაცემა უჭირს კითხვაზე, თუ რა დამატებითი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სოციალურმა მუშაკმა. მათგან თითქმის მესამედი ფიქრობს, რომ სოციალურმა მუშაკმა არ უნდა შეასრულოს დამატებითი ფუნქცია. დანარჩენი ბენეფიციარების უმრავლესობა სოციალური მუშაკისგან პრობლემების მოგვარებაში პირად დახმარებას მოითხოვს. რუსთავსა და ბოლნისში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ სოციალურმა მუშაკმა არ უნდა შეასრულოს დამატებითი ფუნქცია. გორში კი სოციალური მუშაკის მხრიდან სამუშაოს მოძიებაში დახმარებას მოითხოვენ (**იხ. დიაგრამა #63**):

დიაგრამა #63



სოციალური საცხოვრისის საბჭოს ფუნქციებს კი არ იცნობენ არც ბოლნისის, არც რუსთავის ბენეფიციარები. მისი არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი სმენია გორის ბენეფიციართა უმრავლესობას. თბილისის ბენეფიციართა დიდი ნაწილი კი აღნიშავს, რომ საბჭო არ ასრულებს არავითარ ფუნქციას/ფორმალურად არსებობს. თბილისისა და გორის ბენეფიციართა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭო საერთოდ არ არსებობს (იხ. დიაგრამა #64):

დიაგრამა #64



საბჭოს ფუნქციებზე მსჯელობა უჭირთ როგორც რუსთავის, ასე ბოლნისისა და გორის მოსახლეობას. თბილისის მოსახლეობის სრულ უმრავლესობასაც, მცირე ნაწილი კი ფიქრობს, რომ საბჭომ არ უნდა შეასრულოს დამატებითი ფუნქცია.

დაცვის პოლიციის არსებობას სოციალურ საცხოვრისში ბენეფიციართა მხოლოდ 15.8% მოითხოვს, ყველაზე მეტად მის საჭიროებას თბილისში ხედავენ (25.8%). ბოლნისის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართაგან ყველა მიუთითებს იმაზე, რომ დაცვის პოლიცია საერთოდ არაა საჭირო. მსგავსი შედეგებია რუსთავშიც (85.7%) **(იხ. დიაგრამა #65)**:

დიაგრამა #65


ბენეფიციარები
გყავთ თუ არა დაცვა სოციალურ საცხოვრისში?
არ გვყავს და გვჭირდება
25.8%
5.3%
15.8%
არ გვყავს და არ გვჭირდება
66.7%
85.7%
63.2%
100.0%
72.8%
მიჭირს პასუხის გაცემა
7.6%
14.3%
31.6%
11.4%
თბილისი
რუსთავი
გორი
ბოლნისი
სულ

შეჯამება

სოციალურ საცხოვრისებში ბენეფიციარებს სოციალური მუშაკის, სოციალური საცხოვრისის საბჭოსა და ხელოსნის (თბილისში) სერვისი მიეწოდებათ. მათ მიმართ ბენეფიციარების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. თბილისის ბენეფიციართა სრული უმრავლესობა მიუთითებს ხელოსნის საჭიროებაზე (90.9%). ბენეფიციართა 15.2% თავად შეაკეთებს დაზიანებულ სისტემას, ხოლო მათი ხვედრითი წილი, ვინც სპეციალურ სამსახურს უკავშირდება, საკმაოდ დაბალია.

სოციალური მუშაკის მუშაობას სოციალური საცხოვრისის ძირითადი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა რეგიონების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. მაგალითად, რუსთავსა და ბოლნისში ბენეფიციართა სრული უმრავლესობა სოციალური მუშაკის როლსა და ფუნქციებს დადებითად აფასებს, ხოლო გორში – პირიქით, 94.8% სოციალური მუშაკის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი.

სოციალური საცხოვრისის საბჭოს ფუნქციებს კი არ იცნობენ არც ბოლნისის, არც რუსთავის ბენეფიციარები. მისი არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი სმენია გორის ბენეფიციართა უმრავლესობას. თბილისის ბენეფიციართა დიდი ნაწილი კი აღნიშავს, რომ საბჭო არ ასრულებს არავითარ ფუნქციას/ფორმალურად არსებობს. თბილისისა და გორის ბენეფიციართა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭო საერთოდ არ არსებობს

XI. მოხუცების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა სოციალურ საცხოვრისში

როგორც ბენეფიციარებმა აღნიშნეს, მარტოხელა მოხუცები რუსთავისა და ბოლნისის სოციალურ საცხოვრისებში არ ცხოვრობენ. თბილისსა და გორში კი მათ ჯანმრთელობის ან მედიკამენტების პრობლემები ექმნებათ (**იხ. დიაგრამა #66**):

დიაგრამა #66



სამედიცინო დაზღვევა გორის სოციალურ საცხოვრისში მიეწოდება ყველა მარტოხელა მოხუცს, თბილისში – უმრავლესობას. თბილისში მათ საჭიროების შემთხვევაში ექიმის მომსახურებაც მიეწოდებათ, ხოლო გორში – არა. მედიკამენტები კი არცერთ ქალაქში მათ არ მიეწოდებათ (**იხ. დიაგრამა #67**):

დიაგრამა #67



ბავშვებს ყველაზე მეტად თამაშის, გართობის, დასვენების შესაძლებლობები და ხელოვნების წრეები აკლიათ. ხოლო ყველაზე ნაკლებად სათამაშო მოედანი, ხელოვნებისა და სპორტული წრეების სერვისები მიეწოდებათ (**იხ. დიაგრამები #68, 69**):

დიაგრამა #68


ბენეფიციარები
რა პრობლემები ექმნებათ ბავშვებს (16 წლამდე), რომლებიც სოციალურ სახლში ცხოვრობენ?
თამაშის/გართობის პრობლემა
21.0%
45.0%
28.8%
17.6%
23.6%
სასკოლო სახელმძღვანელოების/ნივთების პრობლემა
8.5%
5.0%
4.5%
7.1%
ჯანმრთელობის პრობლემები
11.7%
4.5%
9.1%
საბავშვო ბაღში სიარულის პრობლემა
1.6%
3.0%
1.7%
საშუალო განათლების მიღების პრობლემა
3.6%
2.6%
კვების პრობლემები
10.5%
3.0%
8.0%
დასვენების პრობლემა
16.9%
15.0%
28.8%
11.8%
18.8%
სპორტით/ხელოვნებით დაკავების პრობლემა
18.5%
10.0%
27.3%
18.8%
ფსიქოლოგიური პრობლემები (თავს გრძნობენ მიტოვებულად, გარიყულად)
6.0%
4.3%
ბავშვებს ხმაურის გამო უშლიან თამაშს
0.4%
0.3%
არ ექმნებათ პრობლემები
20.0%
47.1%
3.7%
მიჭირს პასუხის გაცემა
0.8%
5.0%
23.5%
2.0%
თბილისი
რუსთავი
გორი
ბოლნისი
სულ

დიაგრამა #69



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ცხოვრობენ როგორც თბილისის, ასე რუსთავისა და ბოლნისის სოციალურ საცხოვრისებში. მათი ძირითადი პრობლემა გადაადგილება და აბაზანით/საპირფარეშოთი სარგებლობაა (**იხ. დიაგრამა #70**):

დიაგრამა #70



როგორც აღმოჩნდა, სოციალურ სახლში გადასაადგილებლად მათ პანდუსები, სპეციალური ეტლები და სპეციალურად მოწყობილი საპირფარეშო არცერთ სოციალურ საცხოვრისში მიეწოდებათ (**იხ. დიაგრამა #71**):

დიაგრამა #71


ბენეფიციარები
მიეწოდებათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სოციალურ სახლში?
შესაფერის სართულზე ცხოვრება
62.9% 8.1%
83.3% 16.7%
76.9% 23.1%
67.8% 5.7% 26.4%
პანდუსები სოციალურ სახლში გადასასადგილებლად
11.3% 83.9%
16.7% 75.0% 8.3%
84.6% 15.4%
10.3% 82.8% 6.9%
პანდუსები სოციალური სახლიდან გასასვლელად და სახლში შესასვლელად
90.3% 6.5%
91.7% 8.3%
100.0%
92.0% 4.6%
სპეციალური ეტლები
61.3% 33.9%
66.7% 33.3%
92.3% 7.7%
66.7% 29.9%
სპეციალურად მოწყობილი საპირფარეშო/სააბაზანო
80.6% 19.4%
50.0% 41.7%
69.2% 30.8%
74.7% 24.1%
სამედიცინო დაზღვევა
72.6% 1.6% 25.8%
83.3%
38.5% 61.5%
58.6% 2.3% 39.1%
საჭიროების შემთხვევაში ექიმის მომსახურება
51.6% 21.0% 27.4%
100.0%
15.4% 84.6%
39.1% 14.9% 46.0%
მედიკამენტები
53.2% 37.1% 8.3%
91.7%
23.1% 7.7% 69.2%
10.3% 40.2% 49.4%
უფასო კვება
54.8% 38.7%
41.7% 50.0%
46.2% 53.8%
51.7% 42.5%
მიეწოდებათ
არ მიეწოდებათ
მიჭირს პ/გ

შეჯამება

მარტოხელა მოხუცები რუსთავისა და ბოლნისის სოციალურ საცხოვრისებში არ ცხოვრობენ. თბილისსა და გორში კი მათ ჯანმრთელობის ან მედიკამენტების პრობლემები ექმნებათ. ამ უკანასკნელით მათ სოციალურ საცხოვრისში არ ამარაგებენ.

როგორც ბენეფიციარები აღნიშნავენ, ბავშვებს არ აქვთ გართობის ან დასვენების შესაძლებლობები, თუმცა ისინი მოითხოვენ ხელოვნების და სპორტული წრეების არსებობასაც. აღსანიშნავია, რომ საშუალო განათლების პრობლემა ბავშვებს იშვიათად ექმნებათ (2.6%), რადგან მათ სასკოლო ნივთები და წიგნები მიეწოდებათ უფასოდ (50.9%). შედარებით ხშირად – ჯანმრთელობის (9.1%) და კვების (8%) პრობლემები ექმნებათ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაადგილებისა და აბაზანით/საპირფარეშოთი სარგებლობის პრობლემები აქვთ. ამის მიზეზი არის ის, რომ სოციალურ საცხოვრისში ისინი არც სპეციალური სააბაზანოებით და არც პანდუსებით (სოციალურ საცხოვრისში გადასაადგილებლად) არ არიან უზრუნველყოფილნი.

XII. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებს, აგრეთვე, მათსა და გარე სამეზობლოს შორის

12.1. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და გარე სამეზობლოს შორის

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და სამეზობლოს შორის **ძირითადად დადებითი ან ნეიტრალურია.** უარყოფით ურთიერობებზე ბენეფიციართა და გარე სამეზობლოს მხოლოდ ძალზე მცირე რაოდენობა მიუთითებს.

ურთიერთობის არქონის შესახებ სამეზობლოს მაცხოვრებებლები უფრო მიუთითებენ (სოციალური სახლების ბენეფიციარებთან), ვიდრე სოციალური სახლების ბენეფიციარები (სამეზობლოსთან). ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალური სახლების მიმდებარე ტერიტორიის არეალი გაცილებით ფართოა და ამ არეალში დასახლებულების სოციალური სახლების ბენეფიციარებთან ურთიერთობის არქონის რისკი გაცილებით მაღალია, ვიდრე პირიქით **(იხ. დიაგრამები #72, 73)**:

დიაგრამა #72:



დიაგრამა #73



აღნიშნულ მონაცემებს ეხმაურება გამოკითხვის სხვა შედეგიც: როგორც სოციალური სახლების ბენეფიციარების, ისე სამეზობლოს აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) აღნიშნავს, რომ მათ შორის არ ხდება კონფლიქტები. კონფლიქტების არსებობაზე (ხშირად ან ზოგჯერ) მიუთითებს ბენეფიციართა მხრიდან მაქსიმუმ 8%-მდე (რუსთავსა და ბოლნისში), აგრეთვე, 5%-ის ფარგლებში (თბილისსა და გორში), ხოლო მაცხოვრებლების მხრიდან კონფლიქტების არსებობაზე მინიშნების მაჩვენებლები კიდევ უფრო იკლებს და მაქსიმუმ 5% აღწევს (ბოლნისში) **(იხ. დიაგრამები #74, 75)**:

დიაგრამა #74



დიაგრამა #75



სოციალური სახლების ბენეფიციართა ის მცირე რაოდენობა, რომელიც სამეზობლოსთან კონფლიქტების არსებობაზე მიუთითებს, ამის ***ძირითად მიზეზად*** დამამცირებელ, უხეშ მოპყრობას ასახელებს სამეზობლოს მხრიდან, ხოლო სამეზობლოს ის წარმომადგენლები, რომლებიც კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებენ, ამის მიზეზად ასახელებენ ხმაურს ბენეფიციარების მხრიდან, აყალმაყალს სიმთვრალის ნიადაგზე და სხვ.

* * *

სოციალური სახლების გარე სამეზობლოს (მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის) კეთილგანწყობა და თანაგრძნობა ბენეფიციარების მიმართ გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც დასტურდება **(იხ. დიაგრამა #76):**

1. გამოკითხული მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (ყველა ქალაქში) ეთანხმება მოსაზრებას, რომ უმჯობესი იქნება, თუ იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახებს შეასახლებენ ჩვეულებრივ საცხოვრებელ კორპუსებში და არა მათთვის სპეციალურად აშენებულ სოციალურ საცხოვრისში (ე.წ. სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა);

2. მოსახლეობის გამოკვეთილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, დიდი უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სოციალური სახლის ბენეფიციარებს გაუჭირდებათ გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები;

3. გამოკითხული მოსახლეობა, ასევე, არ იზიარებს შემდეგ დებულებებს: ა) „სოციალური სახლის მაცხოვრებლებს ძნელია ენდო“; ბ) „ვცდილობ, სოციალური სახლის მაცხოვრებელებისაგან თავი შორს დავიჭირო, რადგან ისინი ჩემი წრის წარმომადგენლები არ არიან“; გ) „სოციალურ სახლში ცხოვრება ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის დამამცირებელი იქნებოდა“.

4. გარე სამეზობლოს უმრავლესობა (ყველა ქალაქში) არც იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომ სოციალურ სახლებში ბინების და სხვა დახმარებების მიცემით სახელმწიფო ამ ოჯახებს სოციალურად აქტიურ და საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრებად ვერ აქცევს.

დიაგრამა #76


სამეზობლო
ეთანხმებით თუ არა აღნიშნულ დებულებებს?
თბილისი
რუსთავი
გორი
ზოლნისი
უმჯობესია, თუ იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახებს შესახლებენ ჩვეულებრივ საცხოვრებელ კორპუსებში და არა მათთვის სპეციალურად აშენებულ სოციალურ საცხოვრისში
18.5 15.1 45.0 11.3
22.9 50.6 16.5
54.2 43.0
58.3 19.3
სულ
12.6 27.7 48.1 11.6
სოციალური სახლის ბენეფიციარებს გაუჭირდებათ გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები
86.3
74.7 13.3
89.2
41.3 14.3
სულ
82.1
4.1 7.6 6.2
სოციალური სახლის მაცხოვრებლებს ძნელია ენდო
80.5 8.8
80.8
88.1
45.3 24.5
სულ
79.5
4.3 7.1 9.2
ვცდილობ, სოციალური სახლის მაცხოვრებლებისგან შორს დავიჭირო, რადგან ისინი ჩემი წრის წარმომადგენლები არ არიან
90.7
94.3
94.3
79.7 9.7
სულ
91.4
3.2 0.7
სოციალურ სახლში ცხოვრება ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დამამცირებელი იქნებოდა
82.4 9.6
91.0
91.2
45.7 15.2
სულ
82.7
3.6 9.0 4.8
სოციალურ სახლებში ბინების და სხვა დახმარებების მიცემით სახელმწიფო ამ ოჯახებს სოციალურად აქტიურ და საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრებად ვერ აქცევს
62.1 14.3 15.8
52.5 18.6 23.7
61.1 23.8 13.4
24.1 29.4
სულ
59.0 9.2 14.7 17.2
სრულიად არ ვეთანხმები/ძირითადად არ ვეთანხმები
ნეიტრალურად ვარ განწყობილი
ძირითადად ვეთანხმები/სრულიად ვეთანხმები
მიჭირს პ/გ

სოციალური სახლების ბენეფიციართა მიმართ ასეთი ემპათიის მიუხედავად, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა თბილისში, რუსთავსა და ბოლნისში (25-დან 30%-მდე) სკეპტიკურადაა განწყობილი ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების სამართლიანობის მიმართ და ფიქრობს, რომ ბევრად გაჭირვებული ადამიანები დარჩნენ დახმარების გარეშე. ასეთი განწყობა განსაკუთრებით მძაფრდება გორში, სადაც აღნიშნულ მოსაზრებას გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) ეთანხმება; აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა გაუჭირდა მოსახლეობის სულ მცირე მესამედს ყველა გამოკითხულ ქალაქში (**იხ. დიაგრამა #77**):

დიაგრამა #77



* * *

გარე სამეზობლოს ძირითადად პოზიტიურ დამოკიდებულებას სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიმართ კიდევ უფრო ამყარებს მათი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ისურვებდნენ თუ არა ისინი ბენეფიციარებთან ურთიერთობას როგორც პირველადი ჯგუფების (ანუ, უშუალო ემოციური ურთიერთობის), ისე ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში. გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის

გამოკვეთილი უმრავლესობა (70% და მეტი) დადებითად აფასებს იმას, თუ ბენეფიციარი გახდება მისი ან მისი ოჯახის წევრის კარის მეზობელი, თანამშრომელი (სამსახურში), ბიზნეს პარტნიორი, მეგობარი თუ ნათლია; მეტიც, სულ მცირე, ყოველი მეორე გამოკითხული მოსახლეობის ჯგუფიდან თანახმაა ბენეფიციარი გახდეს მისი ან მისი ოჯახის სექსუალური პარტნიორი ან მეუღლე. აღნიშნული ტენდენცია ძალაშია ყველა ქალაქში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა (**იხ. დიაგრამა #78**):

დიაგრამა #78



* * *

ყველაფერი ზემოთქმულის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ბენეფიციარების აბსოლუტური უმრავლესობა (90%-მეტი ყველა გამოკითხულ საცხოვრებელ სახლში) არ გრძნობს თავს გარიყულად გარე დასახლების მაცხოვრებლებისაგან.

გამოკითხვამ კიდევ ერთი საინტერესო შედეგი აჩვენა: სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მოსაზრება გაყოფილია იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ***სად უკეთესი პირობებია - სოციალურ სახლებში თუ მიმდებარე სახლებში/კორპუსებში.*** ერთი ნაწილი აცხადებს, რომ სოციალურ სახლებში უკეთესი პირობებია, მეორე ნაწილი „ჩვეულებრივი“ მოქალაქეების საცხოვრებელ ბინებში/სახლებში არსებულ პირობებს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მესამე ნაწილი ფიქრობს, რომ პირობები ორივეგან დაახლოებით თანაბარია. მონაცემები განსხვავებულია სხვადასხვა სოციალური სახლების ბენეფიციართა შორისაც: ვარკეთილის ბენეფიციართაგან თითქმის ყოველი მეორე (48.5%) ფიქრობს, რომ მიმდებარე სახლებში/კორპუსებში უკეთესი პირობებია, მაშინ როდესაც გორის ბენეფიციართა აბსოლუტურ უმრავლესობას (90%-მდე), ხოლო რუსთავის ბენეფიციართა უმრავლესობას (57%) მიაჩნია, რომ სოციალურ საცხოვრისში არსებული პირობები უკეთესია. რაც შეეხება ბოლნისის სოციალური სახლის ბენეფიციარებს, მათი უმრავლესობა ფიქრობს, რომ პირობები თანაბარია სოციალურ სახლებსა და მიმდებარე სახლებში/კორპუსებში.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ თვალსაზრისით გარე სამეზობლოს (სოციალური საცხოვრისის მიმდებარე სახლების/კორპუსების) მაცხოვრებლები. გამოკითხვა განსხვავებულ სურათს აჩვენებს სხვადასხვა ქალაქში: ვარკეთილის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება იმას, რომ სოციალურ სახლებში ცხოვრების უკეთესი პირობებია; გორში გარე სამეზობლოს უმრავლესობა, ხოლო ბოლნისელთა მესამედზე მეტი, პირიქით, მიიჩნევს, რომ სოციალურ საცხოვრისში მათზე უკეთესი პირობებია (ასე არ ფიქრობს ბოლნისელთა 21%); რუსთავში მოსაზრებები გაყოფილია **(დეტალურად შედეგები იხ. დიაგრამებზე #79, 80)**:

დიაგრამა #79



დიაგრამა #80



12.2. ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებს შორის

თუ ურთიერთობები სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და გარე სამეზობლოს შორის ორივე მხარის მიერ ძირითადად დადებითად ფასდება, ამას ვერ ვიტყვით თავად ბენეფიციარებს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ. უფრო ზუსტად, გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სოციალურ სახლებში განსხვავებული ვითარებაა: ყველაზე რთული და არაერთგვაროვანი აღმოჩნდა ვარკეთილის (თბილისის) სოციალურ სახლში არსებული ურთიერთობები: ბენეფიციარებს შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობებზე მხოლოდ მეხუთედი (21.2%) მიუთითებს; თითქმის ყოველი მესამე აღნიშნავს, რომ ურთიერთობები ნეიტრალურია, ხოლო ყველაზე დიდი ნაწილი (ჯამში 45.5%) არსებულ ურთიერთობებს აღწერს როგორც ძირითადად დაძაბულს ან კონფლიქტურს. ყველაზე იდეალური ვითარება, ამ თვალსაზრისით, რუსთავსა და ბოლნისშია (თუმცა, გასათვალიწინებელია ის, რომ ამ ქალაქების სოციალურ სახლებში სოციალურად დაუცველი ოჯახები სულ ახლახან შესახლდნენ და მათ პრაქტიკულად არა აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის გამოცდილება); რაც შეეხება გორის სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებს შორის არსებულ ურთიერთობებს, ისინი შეფასდა, როგორც ძირითადად ნეიტრალური **(იხ. დიაგრამა #81):**

დიაგრამა #81



შეკითხვაზე: *„ხდება თუ არა სოციალური სახლის მაცხოვრებლებს შორის* კონფლიქტები?“ - სხვადასხვა სახლების ბენეფიციართა პასუხები კვლავ არაერთგვაროვანია: ვარკეთილის ბენეფიციართა დიდი უმრავლესობა (81.8%) კონფლიქტების არსებობაზე მიუთითებს, ხოლო მათგან ზუსტად ნახევარი (40.9%) აღნიშნავს, რომ მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტები ხშირად ხდება. კონფლიქტების არარსებობაზე მიუთითებენ ისევ და ისევ რუსთავისა და ბოლნისის სოციალური სახლების ბენეფიციარები (ამის მიზეზი კვლავ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ისინი ახალმოსახლეები არიან); გორის ბენეფიციართა უმრავლესობა კონფლიქტების არსებობას ადასტურებს, თუმცა, მათივე შეფასებით, ეს კონფლიქტები ხშირი არ არის და მხოლოდ რამდენჯერმე მომხდარა.

კონფლიქტების მიზეზები განსხვავებულია, თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი: ა) კონფლიქტი საერთო ფართის მოვლის (დასუფთავება, შეკეთება) გამო; ბ) პირადი უთანხმოება; გ) საერთო ფართის კომუნალური გადასახადების გამო; დ) სოციალური დახმარებების მიღებასთან დაკავშირებით და სხვა **(იხ. დიაგრამები #82, 83)**:

დიაგრამა #82


ბენეფიციარები
ხდება თუ არა სოციალური სახლის მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტები? (ბენეფიციარები)
თბილისი
40.9
40.9
15.2
3.0
რუსთავი
7.1
85.7
7.1
გორი
68.4
21.1
10.5
ბოლნისი
13.3
86.7
სულ
23.7
37.7
34.2
4.4
ხშირად ხდება
რამდენჯერმე მომხდარა
არ ხდება
მიჭირს პასუხის გაცემა

დიაგრამა #83



გრძნობენ თუ არა სოციალური სახლების ბენეფიციარები თავს ერთმანეთისაგან გარიყულად? გამოკითხვა აჩვენებს, რომ ბენეფიციართა აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი), თვით ვარკეთილის სოციალურ სახლშიც კი, სადაც კონფლიქტები ყველაზე ხშირად ხდება, თავს ამ სახლების მაცხოვრებელთაგან გარიყულად არ გრძნობს.

რაც შეეხება საკუთარი ***სულიერ-ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას*** სოციალურ სახლში გადმოსვლის შემდეგ, ყველაზე უფრო არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი შეფასებები ვარკეთილის სოციალური სახლის ბენეფიციარებმა გააკეთეს: ერთი ნაწილი (დაახლოებით მესამედი) აცხადებს, რომ გახდა უფრო პესიმისტური, დეპრესიული, მშფოთვარე და აგრესიულიც კი; მეორე ნაწილი (კვლავ დაახლოებით მესამედი) აღნიშნავს, რომ არაფერი შეცვლილა მათ სულიერ მდგომარეობაში, ხოლო მესამე (ოდნავ მცირე) ნაწილი აღნიშნავს, რომ გახდა უფრო მშვიდი, გაწონასწორებული და ზოგჯერ - ოპტიმისტურად განწყობილიც კი.

რაც შეეხება რუსთავის, გორისა და ბოლნისის სოციალური სახლების ბენეფიციარებს, მათი გამოკვეთილი უმრავლესობის მიერ საკუთარი სულიერ-ფსიქიკური მდგომარეობა პოზიტიურად ფასდება (პოზიტიური შეფასებები განსაკუთრებით იკვეთება რუსთავისა და ბოლნისის სოციალური სახლების ბენეფიციარებთან, რომლებიც სოციალურ სახლებში გამოკითხვის მომენტამდე რამდენიმე კვირით ადრე შესახლდნენ) **(იხ. დიაგრამა #84)**:

დიაგრამა #84



შეჯამება:

ურთიერთობა სოციალური სახლების ბენეფიციარებსა და გარე სამეზობლოს (მიმდებარე სახლების/კორპუსების მაცხოვრებლებს) შორის საერთოდ არ არის დაძაბული და კონფლიქტური, პირიქით - შეფასებულია როგორც „დადებითი“ ან „ნეიტრალური“; კონფლიქტების ცალკეული და იშვიათი შემთხვევები ხდება ან ბენეფიციარების მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ნიადაგზე, ან ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო.

სოციალური სახლების ბენეფიციარების მიმართ ემპატიის გამომხატველია ისიც, რომ მოსახლეობის წარმომადგენლები მხარს დაუჭერდნენ ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფას „ჩვეულებრივ“ საცხოვრებელ კორპუსებში (სოციალური ინკლუზია); ასევე, აცხადებენ, რომ არ მიიჩნევენ ბენეფიციარებს „სხვებად“, რომლებსაც არ შეიძლება ენდო.

გარე სამეზობლოს ძირითადად პოზიტიურ დამოკიდებულებას სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიმართ კიდევ უფრო ამყარებს მათი პოზიცია, რომ ისინი ისურვებდნენ ბენეფიციარებთან ურთიერთობას როგორც პირველადი ჯგუფების (ანუ, უშუალო ემოციური ურთიერთობის), ისე ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში. კერძოდ, გამოკითხული მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (70% და მეტი) დადებითად აფასებს იმას, თუ ბენეფიციარი გახდება მისი ან მისი ოჯახის წევრის კარის მეზობელი, თანამშრომელი (სამსახურში), ბიზნეს პარტნიორი, მეგობარი თუ ნათლია; მეტიც, სულ მცირე, ყოველი მეორე გამოკითხული მოსახლეობის ჯგუფიდან თანახმაა ბენეფიციარი გახდეს მისი ან მისი ოჯახის სექსუალური პარტნიორი ან მეუღლე. აღნიშნული ტენდენცია ძალაშია ყველა ქალაქში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა.

ამის შედეგია ის, რომ ბენეფიციარების აბსოლუტური უმრავლესობა არ გრძნობს თავს გარიყულად გარე დასახლების მაცხოვრებლებისაგან.

ვითარება უარესობისაკენ იცვლება მაშინ, როდესაც საქმე ეხება თავად ბენეფიციარებს შორის არსებულ ურთიერთობებს. აქ არაერთგვაროვანი სურათია: იმ სოციალური სახლების ბენეფიციარები, რომელთაც თანაცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ (ასეთია ვარკეთილის საცხოვრისის ბენეფიციარები), ერთმანეთში არსებულ ურთიერთობებს უფრო მეტად აფასებენ როგორც დაძაბულს და კონფლიქტურს (შესაბამისად, ხშირი კონფლიქტების არსებობაზე მიუთითებენ), ხოლო ის ბენეფიციარები, რომელთაც თანაცხოვრების ძალზე მცირე გამოცდილება

არა აქვთ (რუსთავსა და ბოლნისში), უარყოფენ ერთმანეთში დაძაბულობისა და კონფლიქტების არსებობას.

ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების ძირითადი მიზეზი საცხოვრისის საერთო ფართის მოვლას და საერთო კომუნალური გადასახადების გადახდას უკავშირდება.

როგორც ჩანს, კონფლიქტების სიხშირე კავშირშია სულიერ-ფსიქიკურ მდგომარეობასთან: ვარკეთილის ბენეფიციარები სხვა სახლების ბენეფიციარებზე გაცილებით მეტად აფასებენ თავიანთ სულიერ მდგომარეობას როგორც პესიმისტურს, მშფოთვარეს, დეპრესიულსა და აგრესიულს მას შემდეგ, რაც სოციალურ სახლში გადმოსახლდნენ. სხვა სოციალური სახლების ბენეფიციარები (რომელთაც თანაცხოვრების მცირე გამოცდილება აქვთ) საკუთარ სულიერ მდგომარეობას უფრო მეტად აფასებენ როგორც „მშვიდს“ და „გაწონასწორებულს“.

<u>მაშასადამე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებს სერიოზული პრობლემები აქვთ სათემო ცხოვრებისთვის აუცილებელი თანაცხოვრების უნარ-ჩვევების ფლობის თვალსაზრისით. მათ შორის კონფლიქტები სწორედ მაშინ იწყება და მძაფრდება, როდესაც საქმე საერთო ვალდებულებების შესრულებას უკავშირდება (როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრისის საერთო ფართზე ზრუნვა).</u>

XIII. ბენეფიციართა რელევანტურობა სოციალური სახლის სერვისის კონცეფციასთან და სხვა ატიტუდები

13.1. რელევანტურობა სოციალური სახლის სერვისის კონცეფციასთან

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სოციალური სახლების ბენეფიციარების **განწყობები და ატიტუდები დისონანსშია სოციალური საცხოვრისის კონცეფციასთან.** ეს კონცეფცია გულისმობს იმას, რომ სოციალური სახლები სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ და ძირითადად წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალიტეტების) საკუთრებას; ამასთან, სოციალური საცხოვრისი არის რეგულირებადი სოციალურ სივრცე, სოციალური კონტროლის გაწერილი მექანიზმებით; სოციალური საცხოვრისი განსაკუთრებით წაახალისებს სათემო ცხოვრების პრაქტიკას და ამისათვის ქმნის ე.წ. „საერთო სივრცეს“ სოციალური სახლების ბენეფიციარებისათვის. სოციალურ სახლებში ცხოვრების უფლებას იძენენ თავშესაფრის არმქონე, ღარიბი ოჯახები; საცხოვრებელი ფართი მათ ეთმობათ, ან უსასყიდლოდ, თუმცა, ხელშეკრულებით განსაზღვრული გარკვეული ვადით, ან - შეღავათიანი ქირის გადახდის პირობით.

აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, შესაძლებელია ავაგოთ სოციალური სახლის ბენეფიციარის ე.წ ემპირიული **„იდეალური ტიპი“.** კერძოდ, ეს არის ბენეფიციარი, ვისის დამოკიდებულებებიც ამ ტიპის სერვისის მიმართ ასეთია:

1. იზიარებს იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს;
2. არ ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს;
3. მზადაა იმისთვის, რომ დატოვოს სოციალური საცხოვრისი, როგორც კი ქირის გადახდას შეძლებს;
4. ეთანხმება იმას, რომ სამართლიანი იქნება, თუ სახელმწიფო, სოციალურ სახლში შესახლებიდან გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ოჯახებს ბინის ქირას გადაახდევინებს;
5. მისთვის არ არის მიუღებელი, რომ საერთო მოხმარებაში ჰქონდეს ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და სხვა ნივთები;
6. იაზრებს იმას, რომ სოციალურ სახლში მისი ცხოვრება კონტროლდება.

გამოკითხვის შედეგები შემდეგ სურათს აჩვენებს: ბენეფიციართა გამოკვეთილი (ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, დიდი და აბსოლუტური) უმრავლესობა:

1. არ ეთანხმება იმას, რომ სოციალური სახლები სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს;
2. ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს;
3. არ ეთანხმება იმას, რომ ბინის ქირის გადახდის შესაძლებლობის შემთხვევაში სოციალურ სახლს დატოვებს;
4. არ ეთანხმება იმას, რომ სამართლიანია სახელმწიფომ, გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ბენეფიციარ ოჯახებს ბინის ქირა გადაახდევინოს;
5. ეთანხმება, რომ მიუღებელია, ჰქონდეს საერთო მოხმარების ნივთები;
6. ეთანხმება, რომ არა აქვს სურვილი სოციალურ საცხოვრისში ვინმე აკონტროლებდეს.

სოციალური საცხოვრისის „იდეალური ტიპისგან' გადახრილი, ანუ „დევიანტი" ბენეფიციარების დამოკიდებულებები არ იცვლება იმის მიხედვით, საქმე გვაქვს იძულებით გადაადგილებულ პირებთან თუ ადგილობრივ სოციალურად დაუცველებთან. არ იცვლება არც დასახლების ადგილის (ანუ, ქალაქების) მიხედვით **(იხ. დიაგრამა #85)**:

დიაგრამა #85


ბენეფიციარები
ეთანხმებით თუ არა აღნიშნულ დებულებებს?
სოციალური საცხოვრისის ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს
60% 14% 25% 16% 8% 67%
სულ 63% 11% 21%
სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს
12% 2% 82% 96% 4%
სულ 64% 9% 21%
სოციალური საცხოვრისიდან გავალ, როგორც კი ქირის გადახდას შევძლებ
63% 9% 20% 22% 8% 65%
სულ 64% 9% 21%
სამართლიანი იქნება, თუ სახელმწიფო, სოციალურ სახლში შესახლებიდან გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ოჯახებს ბინის ქირას...
95% 2% 2% 98%
სულ 96% 1%
ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, მქონდეს საერთო ტელევიზორი, საერთო სარეცხი მანქანა, საერთო ნივთები
6% 17% 77% 78% 14% 8%
სულ 7% 16% 77%
არ მინდა, სოციალურ საცხოვრისში ვინმე მაკონტროლებდეს
5% 11% 83% 90% 8%
სულ 3% 10% 86%
ძირითადად არ ვეთანხმები/სრულიად არ ვეთანხმები
ნეიტრალური
ძირითადად ვეთანხმები/სრულიად ვეთანხმები

სტატისტიკურმა ანალიზმა კიდევ ერთი საინტერესო შედეგი აჩვენა: იმ ბენეფიციარების ხვედრითი წილი, ვინც სოციალური სახლის სერვისთან რელევანტურობის ზემოაღნიშნული ექვსი პირობიდან არცერთს არ აკმაყოფილებს, გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობას შეადგენს; ერთი რომელიმე პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია ბენფიციართა დაახლოებით მესამედს გააჩნია, ორი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - დაახლოებით 8%-ს, ხოლო სამი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - მხოლოდ დაახლოებით 4%-ს. საინტერესოა, რომ ოთხი და მეტი პირობის მიმართ არც ერთი ბენეფიციარი არ აღმოჩნდა ადეკვატური (**იხ. დიაგრამა #86**):

დიაგრამა #86



- ერთი პირობა, რომლის მიმართაც ადეკვატური პოზიცია ყველაზე ხშირად დაასახელეს, შემდეგია: „სოციალური საცხოვრისიდან გავალ, როგორც კი ქირის გადახდას შევძლებ“ - 14.0%;
- ორი პირობა, რომელთა მიმართაც ადეკვატური პოზიცია ყველაზე ხშირად დაასახელდა, შემდეგია:: „სოციალური საცხოვრისის ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს“ - 7% და „სოციალური საცხოვრისიდან გავალ, როგორც კი ქირის გადახდას შევძლებ“ - 5.3%;

- სამი პირობიდან გამოირჩევა: „სოციალური საცხოვრისის ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს“ - 2.6%, თითქმის ყველა დანარჩენ პირობას თანაბარი ხვედრითი წილი გააჩნია - 1.8%.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სოციალური სახლების კონცეფციასთან და სერვისთან არაადეკვატურობა არა მხოლოდ ბენეფიციარებს გამოარჩევს, არამედ გარე სამეზობლოსაც (მიმდებარე კორპუსების/სახლების მოსახლეობას). კერძოდ, გამოკითხული მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინები სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს (გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ვარკეთილის რაიონის მოსახლეობა, სადაც ამ საკითხზე პოზიციები გაყოფილია და მცირე უპირატესობა ენიჭება სოციალური სახლების სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენას); ამასთან, მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (ყველა გამოკითხულ ქალაქში) ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს და არ ეთანხმება იმას, რომ სამართლიანი იქნება, რომ სახელმწიფომ, გარკვეული წლების გასვლის შემდეგ, ბენეფიციარ ოჯახებს ბინის ქირა გადაახდევინოს **(იხ. დიაგრამა #87)**:

დიაგრამა #87



13.2. სხვა ატიტუდები

ბენეფიციართა უფრო დიდი ნაწილი (46.6%) ეთანხმება იმას, რომ სოციალურად დაუცველები და იძულებით გადაადგილებული პირები ერთ სოციალურ სახლში არ უნდა ცხოვრობდნენ.

საერთო სურათს არღვევენ თბილისის სოციალურ სახლების ბენეფიციარები: მათი გამოკვეთილი უმრავლესობა (70%-მდე) ამ ორი სამიზნე ჯგუფის ერთ ინსტიტუციაში მოთავსებას ეთანხმება.

ბენეფიციართა გამოკვეთილი უმრავლესობა (64%) არ ეთანხმება იმას, რომ არამოტივირებულია, რათა დასაქმდეს, ვინაიდან ეს გაზრდის მათ შემოსავალს და ამის გამო მათ შეიძლება სოციალური სახლის დატოვება მოუწიოთ. პირიქით, ბენეფიციარები აცხადებენ (58%), რომ ისინი და მათი ოჯახის წევრები ზრუნავენ, რათა არ იყვნენ სახელმწიფოს თავშესაფრის იმედზე, თუმცა, ამავე დროს,

ბენეფიციარების დიდი უმრავლესობა (82%) სკეპტიკურადაა განწყობილი იმასთან დაკავშირებით, რომ ახლო წლებში მათი მათი სოციალური/ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვლება.

გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სოციალური სახლის ბენეფიციარებს არა აქვთ სათემო ცხოვრების მზაობა და პრივატული ცხოვრების წესს უფრო უჭერენ მხარს. კერძოდ, ბენეფიციართა გამოკვეთილ უმრავლესობას (74%) არ მოსწონს, რომ სოციალურ საცხოვრისში ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ; ამასთან, ისინი აცხადებენ, რომ ურჩევნიათ მეზობლებს ბინაში შეხვდნენ, ვიდრე საერთო სივრცეში.

შეჯამება:

სოციალური სახლების ბენეფიციარების განწყობები და ატიტუდები დისონანსშია სოციალური საცხოვრისის კონცეფციასთან და ამ სერვისის მიმღებ ემპირიულ „იდეალურ ტიპთან“. ასეთი იდეალური ტიპი გვკარნახობს, რომ სოციალური სახლის ბენეფიციარი:

1. **იზიარებს იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს;**
2. **არ ეთანხმება იმას, რომ სოციალური საცხოვრისის ბინაში ყოფნა უვადო უნდა იყოს;**
3. **მზადაა იმისთვის, რომ დატოვის სოციალური საცხოვრისი, როგორც კი ქირის გადახდას შეძლებს;**
4. **ეთანხმება იმას, რომ სამართლიანი იქნება, თუ სახეკლმწიფო, სოციალურ სახლში შესახლებიდან გარკველი წლების გასვლის შემდეგ, ოჯახებს ბინის ქირას გადაახდევინებს;**
5. **მისთვის არ არის მიუღებელი, რომ საერთო მოხმარებაში ჰქონდეს ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და სხვა ნივთები**
6. **იაიზრებს იმას, რომ სოციალურ სახლში მისი ცხოვრება კონტროლდება.**

გამოკითხვის შედეგების თანახმად, იმ ბენეფიციარების ხვედრითი წილი, ვინც სოციალური სახლის სერვისთან რელევანტურობის ზემოაღნიშნული ექვსი

პირობიდან არცერთს არ აკმაყოფილებს, უმრავლესობას (52-55%) შეადგენს; ერთი რომელიმე პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია ბენფიციართა დაახლოებით მესამედს გააჩნია, ორი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - დაახლოებით 8%-ს, ხოლო სამი პირობის მიმართ ადეკვატური პოზიცია - მხოლოდ დაახლოებით 4%-ს. საინტერესოა, რომ ოთხი და მეტი პირობის მიმართ არც ერთი ბენეფიციარი არ აღმოჩნდა ადეკვატური.

სოციალური საცხოვრისის „იდეალური ტიპისგან' გადახრილი, ანუ „დევიანტი" ბენეფიციარების დამოკიდებულებები არ იცვლება იმის მიხედვით, საქმე გვაქვს იძულებით გადაადგილებულ პირებთან თუ ადგილობრივ სოციალურად დაუცველებთან. არ იცვლება არც დასახლების ადგილის (ანუ, ქალაქების) მიხედვით.

სოციალური სახლების სერვისთან არაადეკვატურობა არა მხოლოდ ბენეფიციარებს გამოარჩევს, არამედ მიმდებარე კორპუსების/სახლების მოსახლეობასაც.